პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 280 (11891)

შაბათი, 3 დეკემბერი, 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

სადილი კრემლში

კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირის მონაწილეთა პატივსაცემად

2 დეკემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა კრემლში სადილი გამართა კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირის მონაწილეთა პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ 81 კომუნისტური და მუშათა პარტიის დელეგაციათა მეთაურები და წევრები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები.

სადილმა გულითადობისა და ძმური მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა, რაც ახასიათებს კომუნისტური და მუშათა პარტიების ურთიერთობას.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო მორის ტორეზი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო საბჭოთა კავშირში მყოფი საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ამხ. მორის ტორეზი და საუბარი ჰქონდა მასთან.

საუბარს დაესწრო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. ბ. ნ. პონომარიოვი.

საუბარმა დიდი გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა, რაც ახასიათებს ორი მოძმე პარტიის ურთიერთობას. (საკდესი).

ჩემი თბილისი

1.

თბილისი! ეს საბჭოთა საქართველოს გულია, მისი ემბაზი და სარკე. მისი ამაზი დედაქალაქი.

ეი ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა ღირსეულად აღნიშნავს თავისი სახიქადულო ველის აკაკი წერეთლის დაბადების 120 ლისთავს, უფრო ზეიმურად გამოიყურება ჩვენი თბილისი.

ოდვიდართ მის მრავალი ახალი შენობით დამშვენებულ, მწვანე ნარგავებით, ნაირფერი ყვავილებით მოკაზმულ ეზოებში და სიამოვნებით ვიგონებთ, რომ აქ ცხოვრობდა, მოღვაწეობდა, თავის უკვდავ ნაწარმოებებს წერდა ქართველი ხალხის საყვარელი მგოსანი აკაკი. ეკვინ იცის, რამდენჯერ გაუვლია ამ ქუჩებში, რამდენჯერ შემოუვლია თბილისის ძველი უბნები ქართული კულტურის კორიფეს აკაკის.

ეხადეთ, ბევრი რამ არ მოსწონდა და ადეკვიც გამოუთქვამს გულისტკივილი, რომ თბილისში მაშინ, აკაკის სიტყვით, „ცხოვრებასავით უსწორმასწორო, მიხეულ-მოხვეული ქუჩები“ იყო.

ეუკვარდა, თავს ერჩია ბევრჯერ ნაორი მშობლიური ქალაქი. თბილისში ეკვნა და დაბეზდა აკაკიმ მრავალი შეინშნავი ნაწარმოები, რომლებითაც ეცხოვდა უკუღმართ დროებას, შენატოდა ნაფელ მომავალს, უმღეროდა საქართველოს განთავისუფლებას.

და ეს ნანატრი დღეც დადგა. აკაკიმ ეოქმის ექვსი წლით ადრე დალია სუ, ვიდრე კავკასიონზე მიჰაჭვული მისი ირანი ბორკილს დაამსხვრევდა და საქართველოში დამყარდებოდა საბჭოთა

მამულიშვილთა საფლავებს და მთა-ბინდიდან გადასცქერენ ახალი თბილისების მიერ გალამაზებულ დედაქალაქს.

კარგია ჩვენი თბილისი. უფრო კარგი ეზნება, სწრაფად გაიზრდება და გამშვენდება იგი კეთილმოწყობილი ქუჩით, სახლებით და ბაღებით დიდ შვიდლდში.

* * *

სურათზე: **ახალი თბილისი.**
ფოტო ს. ონანოვისა.

უპატაკებენ სამშობლოს

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებმა—და-კოლმეურნეებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტთა მიყიდვის გეგმა. 29 ნოემბრისათვის ხილის მიყიდვის გეგმა შესრულებული 117,8 პროცენტით, შაქრის ჭარხლისა — 100 პროცენტით, ბოსტნეულისა — 100.7 პროცენტით, კარტოფილისა — 101 პროცენტით. სახელმწიფოს მიეყიდა 2.480 ტონით მეტი ხილი, 1.137 ტონით მეტი ბოსტნეული, ვიდრე შარშან.

სახელმწიფოსათვის ხილის მიყიდვა გრძელდება. (საქდესი).

ფოთი. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის ფოთის მეორე ავტოსატრანსპორტო კანტორის კოლექტივმა ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმა ნოემბერში შესასრულა. გადაზიდულია 398 ათასი ტონა ტვირთი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 394 ათასი ტონისა. გარბენილია 4 მილიონ 22 ათასი ტონა-კილომეტრი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.759 ათასი ტონა-კილომეტრისა. კანტორამ ნაყოფიერი მუშაობის შედეგად სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი ხარალი დაფარა და მიიღო 200 ათასი მანეთი ზეგეგმით დაგროვება.

კანტორის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გადაზიდოს 40 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

ხაშური. აგარის ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ნ. გელაშვილი) ვადაზე ადრე ხუთი დღით ადრე შეასრულა აგარის გამოშვების წლიური გეგმა. გამოშვებულია 7.240 ათასი ცალი აგური ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6,5 მილიონი ცალისა.

ქარხნის კოლექტივი წარმატებით იბრძვის იმისათვის, რომ ახალი შრომითი სახელმძღვანელი მოუმზადოს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 40 წლისთავს.

მახარაძე. (საკ. კორ.). აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა რამდენიმე ათეული ათასი მანეთის პროდუქცია. მნიშვნელოვნად გაზარდა შრომითი ნაყოფიერება, შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და შეიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში ერთ მილიონ მანეთზე მეტი შეიტანა.

წარმოების კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე სამშობლოს მისცეს ხუთი მილიონი მანეთის პროდუქცია.

ჩემი რესპუბლიკის დღე

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ფერროშენადნობთა ქარხანას ბევრი ნიჭიერი და უნარიანი რაციონალიზატორი ჰყავს. მათ შორის არიან გამოცდილი მეტალურგი ინჟინრები ბ. ლომთათიძე და გ. ხუციშვილი. მათ ქარხანაში რამდენიმე კარგი რაციონალიზატორული წინადადება წამოაყენეს და დანერგეს, რითაც წარმოებას ასეულ ათასობით მანეთი დაეზოგა.

ბ. ლომთათიძისა და გ. ხუციშვილის ერთ-ერთი წინადადება ეხებოდა მაღალსილიციუმიანი და უნახშირბადო სილიკომარგანეცის მიღებას პირდაპირი ხერხით, ნაცვლად ორმაგი გადამუშავებისა. ასეთ სილიკომარგანეცს შემდეგ ელექტროლიტებში იყენებენ ლითონური მარგანეცის მისაღებად.

ამ წინადადების დანერგვა ზესტაფონში, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. გადაწყდა, რომ იგი საწარმო მასშტაბით გამოიყენებინათ ზაპოროჟეის ფერროშენადნობთა ქარხანაში. ამ აზრს მხურვალედ მიესალმნენ უკრაინელი მეგობრები. იქ მიწვიეს ორნი ინჟინერი ბ. ლომთათიძე. მან ზაპოროჟეელებთან ორი თვის მტკიცე თანამეგობრობით დანერგა აღნიშნული წინადადება, რამაც შესანიშნავი შედეგი გამოიღო. იგი წლიურად ზოგავს 12 მილიონ კილოვატ-საათ ელექტროენერგიას, 2.390.000 მანეთს.

ზაპოროჟეელმა მეტალურგებმა აღნიშნული წინადადება წარადგინეს ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის გამოცხადებულ XV საკავშირო კონკურსზე.

ამ დღეებში აქ მოვიდა ჟურნალ „პრომიშლენნაია ენერგეტიკას“ 1960 წლის მეათე ნომერი. იქ დაბეჭდილია ბ. ლომთათიძისა და გრ. ხუციშვილის წინადადების სქემები და მოკლე აღწერილობა. მოთხრობილია მის დიდ ეკონომიურ მნიშვნელობაზე. აქვე აღნიშნულია, რომ ბ. ლომთათიძისა და გ. ხუციშვილის წინადადებამ გაიმარჯვა საკავშირო კონკურსში, მიეკუთვნა მეორე პრემია და ფულადი ჯილდო.

ახალი მოსავლის ლიმონი

ფოთი. (საკ. კორ.). ფოთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის ათეულობით ჰექტარი ფართობი უჭირავს. შავი ზღვისპირეთის თბილი და ტენიანი ჰაერი ხელს უწყობს უხვი მოსავლის მიღებას. შარშან ფოთელებმა 1 მილიონ 575 ათასი ცალი ლიმონი მიჰყიდეს სახელმწიფოს, რაც გეგმით გათვალისწინებულს ნახევარი მილიონით აღემატებოდა.

წელს აქ კარგად მოემზადნენ ლიმონის კრეფისა და გადამუშავებისათვის. დაიწყო ლიმონის მოსავლის აღება. კრეფაში დაწინაურდა პირველი აგროგანყოფილება, რომელსაც ბ. როყაი ხელმძღვანელობს. ამ აგროგანყოფილებამ 256.600 ცალი მეიერის ჯიშის ლიმონი უნდა მოკრიფოს. მეციტრუსეები 300 ათას ცალის მოკრეფას ვარაუდობენ.

კარგად მუშაობს აგრეთვე მეორე აგროგანყოფილება, რომელსაც აგრონომი აკ. ხარბედია ხელმძღვანელობს. აგროგანყოფილება ყოველდღიურად 30-40 ათას ცალ ნაყოფს კრეფს.

— ჩვენი კოლექტივის გადწყვეტილებაა, — განაცხადა მეურნეობის დირექტორმა ალ. ჯანუაშვილმა, — ეს სამუშაო დღეში უდანაკარგოდ აიღოს ლიმონის მოსავალი და კვლავაც ისახელოს თავი.

ზონალური თათბირი

გორი. (საკ. კორ.). ამ დღეებში მოეწყო ზონალური თათბირი ლექციური პროპაგანდის საკითხებზე. თათბირს ესწრებოდნენ პარტიის ბაშური, ქარელი, გორის, კასპის, მცხეთის, დუშეთის, ასპინძის, ბორჯომის, ადიგენის რაიკომების, გორის საქალაქო კომიტეტისა და საბჭოთან სოფლის ოლქის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეები, პოლიტიკური განათლების კაბინეტების გამგეები, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარეები.

თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ დელექციური პროპაგანდის მოწყობის საქმეში მუშაობის გამოცდილებაზე ილაპარაკეს პარტიის რაკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეებმა: ი. გოგოლაძემ (ბაშური), ა. მექვაბიშვილმა (ახალციხე), ნ. ცხოვრებოვმა (სტალინირი), ვ. ალელიშვილმა (ასპინძა); პოლიტიკური განათლების კაბინეტების გამგეებმა: ნ. ხომასურიძემ (ქ. გორი), გ. ქერდიყოშვილმა (გორის რაიონი), პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელმა შ. ბუკულოვმა, საქართველოს კპ ცენტრ. კომიტეტის ლექტორმა ვ. რეხვიაშვილმა და სხვებმა.

თათბირის მონაწილეებმა დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლი-მუზეუმი, ბაბეულის კომბინატი და გორის საკონსერვო ქარხანა.

ახალგაზრდობა ბაღებს აშენებს

სტალინირი. (საკ. კორ.). კომკავშირის სტალინირის რაკომის ინიციატივით რაიონის ახალგაზრდობა სოფელ ხეთაგუროვის კოლმეურნეობაში შეუდგა 70 ჰექტარი ბაღის გაშენებას. კვირადღეს 300-მდე ახალგაზრდამ 50 ჰექტარზე ჩაყარა ნამყენი.

ადრეული დოლი

კარგა ხანია, რაც წიფელწყაროს საკოლმეურნეო ცხვრის ფარები საზამთრო ბინებში ჩავიდნენ. კვლავ გამოცოცხლდა ივრისა და სამუხის მიდამოები. მეცხვარეებს ამინდმაც ხელი შეუწყო. მწყემსებმა იმარჯვეს. ადრეული დოლისათვის მოამზადეს საბატნეები, ქვეშსაფენი, საკვები და მთელი წვრილმანი ინვენტარი.

წიფელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის 15 ათასი სულისაგან შემდგარ ფარებში მეორე ადრეული დოლი პირველმა დაიწყო მე-9 ბრიგადამ, რომელსაც გამოცდილი თავჩობანი ვიქტორ ნატროშვილი ხელმძღვანელობს. აქ 870 სული დედაცხვარი ჩადგა დოლში. უკვე მიღებულია სამასამდე ბატკანი.

150-ზე მეტი ბატკანი დაკუნტრუშებს სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში.

მწყემსები არსენ როსტომაშვილი, ილია არღანაშვილი, დავით ხალილბეგი და სხვები ცხვარსა და ბატკანს მზრუნველობით დასტრიალებენ. მათი გადაწყვეტილებაა ისე ჩაატარონ დოლი, რომ მთლიანად შეინარჩუნონ მიღებული ნამატი.

ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსებმა წელს კოლმეურნეობას 5 მილიონ მანეთზე მეტი შემოსავალი მისცეს, ახლა კი იმისათვის იბრძვიან, რომ მომავალ წელს კიდევ უფრო გაზარდონ ცხვრის პროდუქტიულობა და მეტი შემოსავალი მიიღონ. ამ მიზნით ბევრ ბრიგადაში ჩაატარებენ მეორე ადრეულ დოლს.

ბ. გოჩიტაშვილი.

საბჭოთა თანამგზავრი კოსმოსში

მესამე საბჭოთა თანამგზავრი ხომალდი განაგრძობს მოძრაობას ორბიტაზე დედამიწის გარშემო.

თანამგზავრიდან მიღებული ტელემეტრიული ინფორმაცია გვიჩვენებს, რომ თანამგზავრ ხომალდზე, ტემპერატურა და ჰაერის წნევა ნორმალურადაა დაცული.

მონაცემები. რომლებიც მიღებულია საცდელი ცხოველების მდგომარეობის განმსაზღვრელი ფიზიოლოგიური მაჩვენებლების ტელემეტრიული გაზომვათა გაშიფრვის შედეგად, აგრეთვე მათი ქცევისადმი დაკვირვებანი, რაც რადიოსატელევიზიო სისტემის საშუალებით ხორციელდება, გვიჩვენებენ, რომ ცხოველებმა დამაკმაყოფილებლად გადაიტანეს თანამგზავრი ხომალდის ორბიტაზე გაყვანის პერიოდი.

რადიოგადამცემი „სიგნალი“, რომელიც მუშაობს 19,995 მეგაჰერცის სიხშირეზე, განაგრძობს ნორმალურ ფუნქციონირებას.

გაზომვის შედეგად თანამგზავრი ხომალდის ორბიტის დაზუსტებული ელემენტები უდრის: შემოვლის პერიოდი — 88,47 წუთს, პერიგეის სიმაღლე — 180 კილომეტრს. აპოგეის სიმაღლე — 249 კილომეტრს, ორბიტის დახრილობა ეკვატორის სიბრტყისადმი — 64 გრადუსსა და 58 მინუტს.

მესამე საბჭოთა თანამგზავრი ხომალდი განაგრძობს მოძრაობას. თანამგზავრ ხომალდზე დადგმული აპარატურა და სხვადასხვა დანიშნულების მიწისზედა რადიოტექნიკური სადგურები ნორმალურად მუშაობენ. თანამგზავრი ხომალდის საკონდიციო სისტემა უზრუნველყოფს კაბინაში ტემპერატურისა და ჰაერის წნევას, აგრეთვე ჰაერის შემადგენლობასა და ტენიანობას, რომლებიც ახლოს არიან მათ ნორმალურ მნიშვნელობებთან. კაბინაში განუწყვეტლივ დაცულია ცხოველთა სასიცოცხლო მოქმედების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პირობები.

თანამგზავრზე მყოფი ცხოველებისადმი სისტემატური დაკვირვებანი ტელემეტრიული სისტემებისა და სატელევიზიო რადიოხაზის საშუალებით გრძელდება. ტელემეტრიულ გაზომვათა მონაცემების დამუშავება გვიჩვენებს ცხოველთა სასუნთქი და გულისა და სისხლძარღვების სისტემების ნორმალურ ფუნქციონირებას ორბიტაზე თანამგზავრი ხომალდის გაყვანის შემდეგ.

სატელევიზიო სისტემის საშუალებით მიღებულია და კინოფირზე აღბეჭდილია ძაღლების გამოსახულება, რაც შესაძლებლობას იძლევა აღინიშნოს ცხოველთა მშვიდი ქცევა უწონადობის პირობებში.

გადამცემ „სიგნალის“ სიგნალებს კვლავ იღებენ დაკვირვების სადგურები, რომლებიც განლაგებული არიან დედამიწის სხვადასხვა პუნქტში. (საკდესი).

როკუელ კენტის წერილი ნ. ს. ხრუშჩოვისადმი

პატივცემულო ბ-ნო ხრუშჩოვ,

სამშობლოში გამგზავრების წინ ორი ამერიკელი, სელი და როკუელ კენტი გწერენ, რათა მადლობა გადაგიხადონ თქვენ, და თქვენი მეშვეობით საბჭოთა ხალხს მისი უსაზღვრო სტუმართმოყვარეობისათვის ჩვენდამი და მისი გულთბილი მეგობრობისათვის. მაგრამ უწინარეს ყოვლისა ჩვენ მადლობას გიხდიან ამ პატიკის გამო, რომელიც დაგვდო ომით, რომ ჩვენიდანისა და მეგობრობისათვის მიიღეთ ის მცირეოდ ძღვენი, რომელიც მორთმევაც ჩვენ შევძელით. მისი მიღება მთელი საბჭოთა ხალხის მიერ, რაც დაადასტურეს ჯერ კულტურის მინისტრმა. მეგობრობის საზოგადოებათა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა და სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა, დადასტურებულ იქნა აგრეთვე პირადად თქვენი განსაკუთრებით თავაზიანი წერილით, წერილით, რომელსაც ჩვენ არა მარტო შევინახავთ როგორც ძვირფას რამეს, არამედ რომელიც, როგორც ჩვენ ვგრძნობთ იმეი ვიქონიოთ, აღიარებულ იქნება ამერიკელი ხალხის მიერ. როგორც სულისკვეთების მიხედვით მომართული ყველა ჩვენგანისადმი, როგორც ჩვენდამი თქვენი მეგობრობის სიმბოლო.

თქვენს ქვეყანაში — მოსკოვსა და ლენინგრადში, სოჩში, საქართველოსა და სომხეთში თქვენი ხალხის სტუმრებად ჩვენი თითქმის ორი თვის ყოფნის განმავლობაში, პატივი გვქონდა შეეხვედროდით სულ სხვადასხვა დარგში მოღვაწე ბევრ ადამიანს და ყველგან, ყველა მათგანის მხრივ ვგრძნობდით მთა ულწერფელ მისწრაფებას იმეგობრონ ჩვენთან და მთელ კაცობრიობასთან, ანუშუალოდ ვისმენდით მათ ნათქვამს ამის შესახებ. მშვიდობა არის ის წერილი, რომელსაც ჩვენ თან წავიღებთ სამშობლოში.

რამდენადაც ჩვენ აქ მოგვიწია უშუალოდ მეგობრობის საზოგადოებათა კავშირმა, ნება გვიბოძეთ თქვენი მეშვეობით გადავუხადოთ მადლობა ყოველივე იმისათვის, რაც ჩვენთვის გაეკეთებინა, ქ-ნ პოპოვას, ქ-ნ კისლოვასა და ყველა იმათ, ვინც დაკავშირებულია მათთან ბევრ დიდ მოშობაში. ნება გვიბოძეთ აგრეთვე განსაკუთრებით მოვახსენოთ ჩვენი ძვირფასი მეგობარი ქ-ნი მამედოვა. ვისაც ჩვენ ოდესმე მეგობრობამაც ამერიკაში მისი ყოფნის დროს დასაბამი მისცა ჩვენსა და თქვენს ხალხს შორის მეგობრობისა და სიმპათიის ახლანდელ კავშირს.

ყველაზე მეტად, უფრო მეტად, ვიდრე ჩვენდამი თქვენი სტუმართმოყვარეობისა და თქვენი ისოდენ ბევრი ადამიანის პირადი მეგობრობისათვის, უფრო მეტად, ვიდრე იმ პატივისათვის, რომელიც ჩვენ ორივეს დაგვდეთ ჩვენი ძღვენის მიღებით, — მადლობას გიძღვნით თქვენ, ბ-ნო პრემიერ-მინისტრო და თქვენს ხალხს უეჭველად მილიონობით ჩვენი ადამიანის სახელით თქვენი წერილისათვის მსოფლიოს ხალხებისადმი, დაუყოვნებლივი და საბოლოო მსოფლიო განიარაღებისადმი თქვენი მოწოდებისათვის, რომლითაც არა ერთგზის მიმართეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. მადლობას გიძღვნით იმ იმედისათვის, რომელიც თქვენ ჩუნერგეთ კაცობრიობას. დაე მისი ნაყოფი იყოს სამარადისო მშვიდობა.

თქვენდამი ღრმა პატივისცემით

როკუელ კენტი.

1960 წლის 21 ნოემბერი

ერაგთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტ ა. ხ. ამერი მოსკოვში



გულითადი სალამი და კეთილი სურვილები

მოსკოვი, 1 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ნ. ს. ხრუშჩოვმა მისასალმებელ წერილში, რომელიც გაუგზავნა კიევის ოლქის ობუხოვის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელის „ჩერვონი ხლებორობის“ კოლმეურნეებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დავალებით მიულოცა მეურნეობის კოლექტივს დიდი წარმატებანი შრომაში. ნ. ს. ხრუშჩოვი კოლმეურნეობის მშრომელებს უთვლის გულითადად სალამს და უსურვებს, რომ მათი მეურნეობა ყოველთვის იყოს მაგალითად სხვა კოლმეურნეობებისათვის.

წერილში, რომელიც გაუგზავნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმ მდივანს ნ. ს. ხრუშჩოვს, კოლმეურნეობა „ჩერვონი ხლებორობის“ ხელმძღვანელებმა, ნათქვამია რომ 15 ნოემბრისათვის სასოფლო-სამეურნეო არტელმა ას ჰექტარ სავარგულზე, მიიღო 192 ცენტნერი ხორცი, შეასრულა ამ პროდუქტის სახელმწიფოსათვის მიყიდვის ორი წლის გეგმა. ას ჰექტარ მიწაზე მიღებულია 551 ცენტნერი რძე და სახელმწიფოს მიეყიდა წელიწადნახევრის გეგმით გათვალისწინებული რძე. ამასთან კილოგრამი რძის თვითღირებულებამ შეადგინა სულ 67 კაპიკი, ძროხის ხორცისა— 2 მანეთი და 98 კაპიკი, ღორის ხორცისა — 5 მანეთი და 61 კაპიკი.

ნოროდომ სიანუკი საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 1 დეკემბერი. (საკდესი). დღეს საღამოს მოსკოვიდან საბჭოთა კავშირში სამოგზაუროდ წავიდნენ კამბოჯის სახელმწიფოს მეთაური პრინცი ნოროდომ სიანუკი და მისი თანმხლები პირები.

კამბოჯისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ იაროსლავლის ვოგზალში საპატიო სტუმარი გააცილეს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. ნ. კოსიგინმა, ე. ა. ფურცევამ, ნ. ს. ხრუშჩოვმა, სსრ კავშირის მინისტრებმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ლუმუმგას დაპატიმრება

ნიუ-იორკი, 2 დეკემბერი. (საკდესი). როგორც კონგოდან იუწყებიან, კონგოელ მეამბოხეთა მეთაური მობუტუ ამტკიცებს, რომ გუშინ საღამოს მისმა ჯარისკაცებმა კასაის პროვინციაში დაიპატიმრეს პატრის ლუმუმბა და ამჟამად მიჰყავთ ლეოპოლდვილში.

მდგომარეობა ვენესუელაში

ჰავანა, 2 დეკემბერი. (საკდესი). უკანასკნელი კვირის განმავლობაში ვენესუელაში გრძელდება მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები და შეიარაღებული შეტაკებანი არმიასა და ვენესუელის პატრიოტებს შორის, რის შედეგად, პრენსა ლატინას სააგენტოს ცნობით, მოკლულია 7 და დაჭრილია 200-მდე კაცი.

ბეტანკურას მთავრობა იღებს მძაფრ ღონისძიებებს ხალხთა მასების ბრძოლის ჩასახშობად.

პოლიცია თავს დაესხა შენობას, სადაც მიმდინარეობდა ბანკების მოსამსახურეთა პროფკავშირის ხელმძღვანელების თათბირი, რომლებიც აპირებდნენ გამოეცხადებინათ გაფიცვა საკონსტიტუციო გარანტიათა გაუქმების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

ვენესუელაში წარმოებს მასობრივი დაპატიმრება, უკვე ჩამწყვდეულია სპალორობილეებში სამასამდე კაცი. დაპატიმრებულთა შორის ბევრია კომუნისტური პარტიის წევრი.

პოლიციამ მოახდინა ყოველკვირეულის „პუბლოს“ — რესპუბლიკურ-დემოკრატიული კავშირის პარტიის ორგანოს ნომრების კონფისკაცია. აგრეთვე თავს დაესხა კომუნისტური გაზეთის „ტრიბუნა პოპულარის“ და ყოველკვირეულების „დომინგოს“ და „ისკიერდის“ შენობებს.

მთავრობის რეპრესიული ღონისძიებანი იწვევს ვენესუელის ფართო საზოგადოებრივი წრეების გულისწყრომას. კერძოდ, პროტესტი განაცხადა რესპუბლიკურ-დემოკრატიული კავშირის პარტიის ლიდერმა ვილალბამ.

ეს თავისუფლებაა?!

ვაშინგტონი, 2 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გუშინ გამოაქვეყნა ბრძანება, რომელსაც ეუთად აწერენ ხელს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰერტერი და იუსტიციის მინისტრი როჯერსი. ბრძანება კრძალავს ამერიკის შეერთებულ შტატებში მუდმივად მცხოვრები უცხოელების გამგზავრებას ალბანეთში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამრიგად, ამ ბრძანების თანახმად, ამერიკაში მუდმივად მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს ამ ქვეყნებში გამგზავრების მხრივ უფესდებათ ისეთივე შეზღუდვები, რაც ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს.

სახელმწიფო დეპარტამენტის ბრძანება აგრეთვე შეიცავს ახალ წესს, რომლის თანახმად ამერიკაში მუდმივად მცხოვრებმა უცხოელებმა სოციალისტურ ქვეყნებში გამგზავრების შემთხვევაში წინასწარ უნდა მიიღონ სახელმწიფო დეპარტამენტისგან ვიზა კვლავ დასაბრუნებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში.



მეცნიერთა კაგუოშის კონფერენცია

მოსკოვი, 1 დეკემბერი. (საკდესი). დღეს მუშაობას განაგრძობდა მეცნიერთა VI საერთაშორისო პაგუოშის კონფერენცია. კონფერენციის მონაწილეები მიესალმნენ საირუს ოტოსა და მის მეუღლეს, რომლებიც დღეანდელ სხდომას დაესწრნენ.

სხდომაზე მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებანი: პროფესორ ბ. ფელდისა (ამერიკის შეერთებული შტატები) — „შეიარაღებისა და განიარაღების კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებული ინსპექტირების პრობლემები“, პროფესორ ნ. ა. ტალენსკისა (სსრ კავშირი) — „შეიარაღების შემცირების ტექნიკური პრობლემები“. მოხსენებების დამთავრების შემდეგ გაიმართა კამათი.

ღღის მეორე ნახევარი მიეძღვნა კონფერენციის მონაწილეთა შორის პირად საუბრებს.

ნ. ს. ხრუშჩოვი ბულგარეთში

ბულგარეთ ოფიციალურ ვიზიტზე ჩავიდა ნ. ს. ხრუშჩოვი. ბულგარეთ-საბჭოთა საზღვარზე ნ. ს. ხრუშჩოვს ბულგარეთის ხალხთა რესპუბლიკის ოფიციალურ ვიზიტზე ჩავიდა ნ. ს. ხრუშჩოვი. ბულგარეთ-საბჭოთა საზღვარზე ნ. ს. ხრუშჩოვს ბულგარეთის ხალხთა რესპუბლიკის ოფიციალურ ვიზიტზე ჩავიდა ნ. ს. ხრუშჩოვი. ბულგარეთ-საბჭოთა საზღვარზე ნ. ს. ხრუშჩოვს ბულგარეთის ხალხთა

მსოფლიო განცვიფრებულია

საბჭოთა ახალი თანამგზავრის გაშვება — მსოფლიოს № 1 ამბავი

თანამგზავრი-ხომალდის სიგნალებს ისმენენ ნიუ-იორკი, ლონდონი, პარიზი, რომი...

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მესამე კოსმოსური ხომალდის გაშვების გამო

ნიუ-იორკი, 1 დეკემბერი. (საკდესი). როგორც კი საკდესმა გადასცა ცნობა, რომ საბჭოთა კავშირში დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე გაუშვეს მესამე კოსმოსური ხომალდი, ამერიკის დეპეშათა სააგენტოებმა დაიწყეს თავიანთი მოსკოველი კორესპონდენტების დეპეშების გავრცელება, რომლებშიც მოცემულია დაწვრილებითი ცნობები საბჭოთა კოსმოსური ხომალდის შესახებ.

ცნობებში ხაზგასმულია მესამე საბჭოთა თანამგზავრი ხომალდის ძალიან დიდი წონა გარდა მატარებელი რაკეტის უკანასკნელი საფეხურისა და ის ფაქტი, რომ თანამგზავრ ხომალდზე არიან ცხოველები, მწერები და მცენარეები.

ნიუ-იორკი, 1 დეკემბერი. (საკდესი). როგორც კი მიიღეს აქ მოსკოვის ცნობა საბჭოთა მეცნიერების ახალი გამარჯვების შესახებ კოსმოსში, მას დაუყოვნებლივ გამოხმაურა ამერიკის ყველა დიდი რადიოსადგური. ამ ცნობამ მაშინათვე მეორე პლანზე გადასწია როგორც შინაამერიკული, ისე საერთაშორისო ახალი ამბები. ყველაზე დიდმა დეპეშათა სააგენტოებმა გადასცეს ყველა დაწვრილებითი ცნობა მესამე კოსმოსური ხომალდის შესახებ. იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხომალდი „თავისი წონით სჯარბობს დღემდე კოსმოსში გაშვებულ ყველა თანამგზავრს“.

სააგენტოები ფორტ-მონმაუტიდან (ნიუ-ჯერსის შტატი) იუწყებიან, რომ იქ არსებულ ასტრონომიული დაკვირვების ცენტრში, რომელიც ამერიკის არმიის კავშირგაბმულობის კორპუსს ეკუთვნის, 8 საათსა და 16 წუთზე ნიუ-იორკის დროით (16 საათსა და 16 წუთზე მოსკოვის დროით) მიღებულ იქნა საბჭოთა კოსმოსური ხომალდის პირველი სიგნალები.

ლონდონი, 1 დეკემბერი. (საკდესი). ცნობამ საბჭოთა კავშირში მესამე კოსმოსური ხომალდის გაშვების შესახებ დიდი ინტერესი გამოიწვია ინგლისში. მოსკოვის რადიოთი ცნობის გადაცემიდან უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ ეს ახალი ამბავი გადასცა რეიტერის სააგენტომ. რეიტერის ცნობაში მოყვანილია მონაცემები ხომალდის წონის შესახებ, მისი მგზავრების — „ჰოლკისა“ და „მუშკის“ სახელები, აგრეთვე სხვა დაწვრილებითი მონაცემები.

ლონდონი, 1 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს რეიტერის სააგენტოს მოსმენის სადგურმა, რომელიც დაბა გრინენდში (ლონდონის მახლობლად) მდებარეობს, მიიღო მესამე საბჭოთა კოსმოსური ხომალდის სიგნალები 18.18-დან 18.38-მდე მოსკოვის დროით.

ლონდონი, 1 დეკემბერი. (საკდესი). ლონდონის საღამოს გაზეთებმა სჩქარიად ხელახლა დაკაბადონეს თავიანთი პირველი გვერდები, რათა თვალში მოსახვედრი სათაურებით ეუწყებინათ ინგლისელ მკითხველთათვის საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი შესანიშნავი მიღწევა. „თანამგზავრი 4,5 ტონაზე მეტს იწონის. იგი ლონდონს გადაუფრენს შუადღისას“, — ასეთია სათაური გაზეთ „ივენინგ სტანდარტში“.

პრეს ასოშიეიშნის სააგენტომ გადასცა თავისი მეცნიერი მიმომხილველის დაწვრილებითი კომენტარი, რომელიც მიძღვნილია კოსმოსური ხომალდის გაშვებისადმი. სააგენტოს მეცნიერი მიმომხილველი იუწყება, რომ საბჭოთა კოსმოსური ხომალდი წარმატებით დაბრუნდება დედამიწაზე. „ეს უკვე დადასტურებულ იქნა, — წერს იგი, — თუმცა ეს უდიდეს სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ეს ისეთი ოპერაციაა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ მგრძნობიარე ელექტრონული აპარატურის დახმარებით“.

პარიზი, 1 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ბ. დრაგუნოვი იუწყება: ელვის სისწრაფით გავრცელდა საფრანგეთში ცნობა საბჭოთა მეცნიერებისა და ინჟინრების ბრწყინვალე მიღწევის— მესამე კოსმოსური ხომალდის გაშვების შესახებ. ფრანს პრესის სააგენტომ შეწყვიტა მორიგი ინფორმაციის გადაცემა მთელი მსოფლიო პრესისათვის, რათა ყოველგვარ რიგგარეშე ეცნობებინა, რომ ორბიტაზე გავიდა გიგანტური კოსმოსური ხომალდი. განსაკუთრებით ხაზგასმულია „მფრინავი ლაბორატორიის“ წონა, რომელიც 4563 კილოგრამს აღწევს, და ის, რომ ხომალდზე არიან ძაღლები და სხვა საცდელი ცოცხალი არსებანი.

საკდესის პარიზის განყოფილებაში ხშირად გაისმის ტელეფონის რეკა: გაზეთების რედაქციებსა და ბევრ პარიზელს სურთ გაიგონ დაწვრილებითი ცნობები საბჭოთა კავშირის ახალი დიდმნშვნელოვანი ნაბიჯის შესახებ კოსმოსის დაპყრობაში.

ფრანს პრესის სააგენტომ გადასცა ცნობა, რომელიც პარიზელების ყურადღებას აქცევს იმას, რომ მესამე საბჭოთა კოსმოსური ხომალდი ღღეს 18 საათზე ადგილობრივი დროით გადაუვლის საფრანგეთის დედაქალაქს.

პარიზი, 1 დეკემბერი. (საკდესი). პარიზის საღამოს გაზეთების პირველ გამოშვებებში თვალსაჩინო ადგილებზე გამოქვეყნებულია მოსკოვიდან მიღებული ცნობები საბჭოთა მეცნიერების ახალი გამარჯვების — მესამე კოსმოსური ხომალდის წარმატებით გაშვების შესახებ.

კათოლიკური გაზეთი „კრუა“ პირველ გვერდზე მსხვილი შრიფტით გამოყოფს ცნობას: „დღეს დილით გაშვებულ იქნა მესამე საბჭოთა კოსმოსური ხომალდი“. გაზეთი აღნიშნავს, რომ კოსმოსურმა ხომალდმა ღღეს გადაუფრინა საფრანგეთის დედაქალაქს.

გაზეთი „პარი პრეს-ენტრანსიჟანი“ ცნობას ხომალდი-გიგანტის კოსმოსურ სივრცეში გაშვების შესახებ ბეჭდავს პირველ გვერდზე დიდი სათაურით: „4-ტონიანი კოსმოსური ხომალდით რუსებმა სივრცეში გაგზავნეს ორი ცხოველი“. გაზეთი დაწვრილებით აქვეყნებს მოსკოვიდან მიღებულ ცნობას და მოჰყავს ტექნიკური დახასიათებანი და დეტალები.

ტელეგრაფი გვატყობინებს

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 1 დეკემბერი. (საკდესი). „ატომური დაკვრითი ძალის“ შექმნის, ე. ი. საფრანგეთის არმიის ატომური იარაღით აღჭურვის კანონპროექტი, რომელიც მთავრობამ შეიტანა, მესამეჯერ დაუბრუნეს განსახილველად ეროვნულ კრებას. მას შემდეგ, რაც ეს პროექტი სენატმა უარყო.

პრემიერ-მინისტრმა მიშელ დებრემ კვლავ დასვა ნდობის საკითხი.

განის მთავრობის განცხადება

ლონდონი, 1 დეკემბერი. (საკდესი). განის რესპუბლიკის მთავრობამ ღღეს „სერიოზული შეშფოთება“ გამოთქვა იმის გამო, რომ საფრანგეთს განზრახული აქვს ახალი ატომური აფეთქება მოახდინოს საჰარის უდაბნოში.

როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი აკრიდან იუწყება, განის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ თუ საფრანგეთის მთავრობამ ეს განზრახვა განახორციელა, განის მთავრობა დაიტოვებს უფლებას განახორციელოს საპასუხო მოქმედება.

დემონსტრანტთა დახვრეტა ურუგვაიში

მონტევიდეო, 1 დეკემბერი. (საკდესი). 29 ნოემბერს აქ ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში შეტაკება მოხდა დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის. პოლიციამ გამოიყენა სასროული იარაღი. არიან დაჭრილნი.

როგორც გაზეთი „პოპულარი“ აღნიშნავს, ათასობით მუშა და სტუდენტი გამოვიდა ქუჩებში, რათა ხელისუფლთაგან მოეთხოვათ გადაუდებელი პრობლემების გადაჭრა. სამშენებლო, ხისდამამუშავებელი და მრეწველობის სხვა დარგების მუშები მოითხოვენ ხელფასის მომატებას, სტუდენტები — ასიგნებათა გადიდებას განათლებისათვის.

ამ ამბავთან დაკავშირებით ურუგვაის მშრომელთა ერთიანი პროფკავშირული ცენტრი სპეციალურ განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან დაკავშირებული რეაქცია სულ უფრო აშკარად მიმართავს რეპრესიებს მუშებისა და დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ. განცხადება შეიცავს მოწოდებას ურუგვაის მთელი დემოკრატიული ძალებისადმი გაერთიანდნენ და მხარი დაუჭირონ მშრომელთა სამართლიან ბრძოლას.

სიცხლი ათენის ქუჩებში

კოლონიალიზმი — ცხვრის ტყავში გახვეული მგელი

კონგო იწვის, ჰამარშელდი ხელს ითგოგს

ასამართლებენ კოლონიალიზმს

ნიუ-იორკი, 2 დეკემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში გრძელდება მუდამ დისკუსია ყველა კოლონიური ქვეყანისა და ხალხისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხზე, რომელიც საბჭოთა კავშირის დელეგაციის წინადადებით შეტანილია ღღის წესრიგში.

გენერალური ასამბლეის გუშინდელ სხდომაზე პირველი გამოვიდა ბირმის წარმომადგენელი უ ტანი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეგრეთწოდებულ დაბალვითარ ეკონომიკას კოლონიებში ნერგავდნენ იმპერიალისტური მეთოდებით, დამონებულ ხალხთა გაძარცვის გზით, ბირმის დელეგატმა გაიფრთხილა დამსწრენი, რომ კოლონიური ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შემდგომ დაყოვნებას მოჰყვება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერება ამ ქვეყნებში.

პონდიჩერის წარმომადგენელმა იმის ნაცვლად, რომ მიმხრობოდა დეკოლონიზაციის კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის დაუყოვნებელივ მინიჭების შესახებ, შეიტანა საკუთარი პროექტი რეზოლუციისა, რომელიც კოლონიზატორთა ინტერესებს ემსახურება. იგი შეიცავს წინადადებას შეიქმნას ხუთი წარმომადგენლის კომისია, რომელშიც შეკლენ აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის, თითო და კოლონიური ქვეყნების ორი წარმომადგენელი. კომისიის ამოცანა იქნება შეისწავლოს კოლონიალიზმის პრობლემა და განსაზღვროს დამოუკიდებლობის მინიჭების პირობები.

ასეთ ხერხს უკვე არაერთხელ მიმართავს დასავლეთის სახელმწიფოებმა, როცა სურდათ გამოკვლევის ლაბირინთში მოექციათ აქტუალური პრობლემის გადაჭრა.

შემდეგ გამოვიდა იორდანიის დელეგატი. აღნიშნა რა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაქანება, მან განაცხადა, რომ მილიონობით ადამიანს თვალი ახლა მიპყრობილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაკენ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის განაჩენს მოლოდინში.

სიტყვებით არ შეიძლება თავისუფლების მოპოვება, განაცხადა შემდეგ გამოსულმა პაკისტანის დელეგატმა ს. ჰასანმა. ათასობით პაკისტანელი, განაგრძო მან, დაიღუპა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. თავისუფლებას იღებენ მძიმე და ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად.

შეეხო რა დეკლარაციას ყველა კოლონიური ქვეყნისა და ხალხისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, რომელიც სსრ კავშირის მთავრობის წინადადებით შეტანილ იქნა ღღის წესრიგში, პაკისტანის დელეგატმა განაცხადა: მთელი მსოფლიო მადლობელი უნდა იყოს ბ-ნი ხრუშჩოვისა კაცობრიობაზე მისი ზრუნვისათვის.

პერუს წარმომადგენლის გამოსვლის შემდეგ ასამბლეის სხდომა დაიხურა.

ნიუ-იორკი, 2 დეკემბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეა განაგრძობს კოლონიალიზმის ლიკვიდაციის პრობლემის განხილვას. 1 დეკემბერს საღამოს პლენარულ სხდომაზე დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს 3 ქვეყნის — მალის, ლიბერიისა და ჩადის წარმომადგენლებმა.

მალის დელეგატმა ავმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა კოლონიზატორთა და მათ დამცველთა თვალთმაქცობის მხილებას.

არ კმარა კოლონიური სისტემის მარტო დაგმობა, თქვა მან. საქმე ეხება ათობით მილიონი ადამიანის ბედს, რომლებსაც ექსპლოატაციას უწევენ „ჰეგნიზმის“ იდეის სახელით. კოლონიალისტებმა, განაგრძო მალის დელეგატმა, ა. მეკობრეობა, ავანტიურიზმი, სხვისი სიდიდით ბრთყვად ვაკრობა. დაე კოლონიური ქვეყნების წარმომადგენელ კრავებად ხე მოაქცთ აქ თავი; კოლონიური ცხვრის ტყავში გახვეული მგელი ამბობენ, რომ აფრიკის ქვეყნებში „ეროფერი არ ყოფილა“ კოლონიზატორებმა მოსკლამდე. აფრიკის ხალხებს ჭარბად დამოუკიდებლობა, ჭარნულთ თავისუფლება, ხოლო რა შეიძლება იყოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე ძვირფასი? კოლონიზატორებს რომ არ ჩაეფიდოთ ხელში კოლონიური ქვეყნების ხალხთა სიმდაბლე, არავინ იცის, ცხოვრებს რა დონეს მიაღწევდნენ ეს ხალხები.

შეეხო რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემადგენლობის შეცვლის უკანასკნელ წლებში, მალის დელეგატმა აღნიშნა, რომ კოლონიალიზმისაგან ხალხთა განთავისუფლების პროცესი მთელი სისწრაფით მიმდინარეობს და შეეძლებელია მისი უკან მობრუნება.

ლიბერიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კოლონიური სისტემის ლიკვიდაცია დიდმნშვნელოვანი წვლილი იქნება მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებაში.

ჩადის დელეგატმა კოლონიალიზმი უწოდა ყველაზე დიდი ბოროტება, რომელიც კი დედამიწაზე არსებობს.

ამერიკული რაკეტის ნამსხვრევები კუბაში

ნიუ-იორკი, 1 დეკემბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჰავანიდან იუწყება:

სამხედრო ხელისუფლებამ ოლგინში, აღმოსავლეთ კუბაში, განაცხადეს, რომ ამერიკის კოსმოსური რაკეტის ნამსხვრევები, რომლის საშუალებით შეერთებულმა შტატებმა გუშინ წარუმატებლად სცადეს გაეყვანათ ორბიტაზე დედამიწის ორი თანამგზავრი, გუშინ დღისით კანაველალის კონცხიდან (ფლორიდა) რაკეტის გაშვებიდან 10 წუთის შემდეგ ჩამოცვენილა ქალაქის მახლობლად, ისე რომ არავითარი ზიანი არ მოუტანია.

სამხედრო შტაბის წარმომადგენელმა, რომელაც ტელეფონით დაუკავშირდნენ ჰავანიდან, განაცხადა, რომ რაკეტის ნამსხვრევები, რომელთაგან ზოგიერთის წონა 40 გრავიტაციას აღწევს, ჩამოცვენდა მთის კალთებზე დაახლოებით 10 მილზე ქალაქ ოლგინიდან.

მზადდება კუბაზე თავდასხმა

ნიუ-იორკი, 1 დეკემბერი. (საკდესი). ყოველკვირეულმა „პიპლს უორლდმა“ გამოაქვეყნა სტატია „ლოს-ანჯელოსში აგროვებენ ფულსა და ადამიანებს კუბაში შესაჭრელად“. სტატიაში აღნიშნულია, რომ ლოს-ანჯელოსში მიმდინარეობს „მოხალისეთა“ შეგროვების კამპანია ფიდელ კასტროს მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

„შეგროვების კამპანია, — აღნიშნავს ყოველკვირეული, — მეტად თუ ნაკლებად აშკარად მიმდინარეობს. შეერთებული შტატების მთავრობა წარმომადგენელები ვერ ამჩნევენ ამას, მიუხედავად მისი უკანონო ხასიათისა. შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურის წარმომადგენლები უწყობენ ხელს მათ, ეინც ამზადებს შეიქმეულების მთავრობის დასამხობად, რომელთანაც შეერთებული შტატებს დიპლომატიური ურთიერთობა აქვთ“.

„კუბაში შეჭრის შტაბი“, განაგრძობს „პიპლს უორლდი“, არის მიამიში (ფლორიდის შტატი), ჰავანიდან 80 მილზე. იქ შექმნილია ორგანიზაცია, რომელიც თავს უწოდებს „კროზაკს“ (კუბის შეიარაღებული ძალების ირორგანიზაციის კომისია). იგი უშვებს თავის გაზეთს, რომელსაც ეწოდება „კომანდო“ და რომელიც აშკარად აგროვებს „მოხალისეებს“ კუბის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისათვის.

სტატიაში შემდეგ აღნიშნულია, რომ კონტრევოლუციონერთა მომზადება კუბაში შეჭრისათვის გვატემალაშიც მიმდინარეობს.

ამერიკული რაკეტის ნამსხვრევები კუბაში

ნიუ-იორკი, 1 დეკემბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჰავანიდან იუწყება:

სამხედრო ხელისუფლებამ ოლგინში, აღმოსავლეთ კუბაში, განაცხადეს, რომ ამერიკის კოსმოსური რაკეტის ნამსხვრევები, რომლის საშუალებით შეერთებულმა შტატებმა გუშინ წარუმატებლად სცადეს გაეყვანათ ორბიტაზე დედამიწის ორი თანამგზავრი, გუშინ დღისით კანაველალის კონცხიდან (ფლორიდა) რაკეტის გაშვებიდან 10 წუთის შემდეგ ჩამოცვენილა ქალაქის მახლობლად, ისე რომ არავითარი ზიანი არ მოუტანია.

სამხედრო შტაბის წარმომადგენელმა, რომელაც ტელეფონით დაუკავშირდნენ ჰავანიდან, განაცხადა, რომ რაკეტის ნამსხვრევები, რომელთაგან ზოგიერთის წონა 40 გრავიტაციას აღწევს, ჩამოცვენდა მთის კალთებზე დაახლოებით 10 მილზე ქალაქ ოლგინიდან.

ბარიკადები ვენესუელაში

ნიუ-იორკი, 1 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ამერიკის საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, ვენესუელაში [illegible] — [illegible] — [illegible] [illegible] ბარიკადებით.

ოფიციალურ კომუნიკეში ნათქვამია, რომ მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები გავრცელდა ხელ ცოტა, ექვს პროვინციაში — ლარის, გუარიკოს, [illegible] რაბობოს, კოჯედესის, სტლისა და პროტეგესის პროვინციებში.

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს ცნობებში ნათქვამია, რომ პოლიცია თავს დაესხა კომუნისტური პარტიის მთავარ ბინასა და მისი ოთხი გაყოფილების შენობებს კარაკასში.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ კომუნისტური პარტიის შენობებზე თავდასხმის დროს პოლიციამ [illegible] პატრამა იქ მყოფნი.

ზესაძლებელი მსხვერპლი

სელაპი: ძმაო ვეშაპო, საით მიეჩქარები?

ვეშაპი: შენ რა, არ გაგიგია, ამერიკელებმა მსოფლიოში რაკეტული ბაზების განლაგების გეგმა რომ შეიმუშავეს? ბოდ, ვშიშობ ერთი ასეთი ბაზა ჩემს ზურგზეც არ ააშენონ.

ნახატი ჩან შანნისა ჩინეთის ყოველკვირეულ ჟურნალ „პეკინ რევიუდან“.

სტუმრად მარიანასთან

ამ ნახატთ მხატვარმა ლანგმა დასავლეთგერმანულ გაზეთ „ზიუდდეიჩე �იტუნგში“ კომენტარი გაუკეთა ბუნდესვერის ნაწილების განლაგებას საფრანგეთში, რაც ნატოს მიერ შემუშავებული გეგმით ხორციელდება.

პოლიცია ესვრის გაფიცულებს

ათენი, 1 დეკემბერი. (საკდესი). ღღეს ათენის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე სახლისმფარელი შეტაკება მოხდა პოლიციელებსა და გაფიცულ მშენებელ მუშებს შორის. არიან მოკლულნი. დაჭრილია, მათ შორის მძიმედ, 150-ზე მეტი მუშა.

ღილით მშენებელმა მუშებმა, რომლებმაც ღღეს დაიწყეს უკანასკნელი წლების მანძილზე უდიდესი გაფიცება, მოაწყეს საპროტესტო მიტინგი მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ. თავიანთი მოთხოვნებია დასაცავად. სანი ათასამდე მუშა ამის შემდეგ გაემართა შრომის სამინისტროსაკენ თავიანთი მოთხოვნების გადასაცემად.

ომონიის მოედანზე მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეთა წინააღმდეგ გამოიყენეს პოლიციელთა დიდი ძალები, რომლებიც მხეცურად დაერივნენ მუშებს. როგორც გაზეთები იუწყებიან, აღშფოთებულმა მუშებმა ააგეს ბარიკადა და ქვა დაუშინეს პოლიციელებს, რომლებიც იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მუშების წინააღმდეგ გამოიყენეს ათენის მთელი პოლიცია, მან შეძლო გაერეკა გაფიცულები. დაპატიმრებულია რამდენიმე ათეული მუშა.

ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტიის ლიდერმა პასალიდისმა და სხვა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა პროტესტი განაცხადეს იმის წინააღმდეგ, რომ პოლიცია მხეცურად გაუსწორდა გაფიცულ მუშებს.

საგანგაშო ამბები ლაოსიდან

პანოი, 1 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. ილანინი იუწყება:

ლაოსიდან საგანგაშო ამბები მოდის. მეამბოხე გენერლის ფუმი ნოსავანის ჯარებმა შეეთანხმებული მტაცების პირდაპირი წყაქზებით დაიწყეს ბეტეკი ლაოსის დედაქალაქზე სუვანა ფუმას მთავრობის დასამხობად. როგორც ავტორალიის რადიო იუწყება, შეტევაში მონაწილეობს ოთხი ქვეითი ბატალიონი, რომლებსაც არტილერია და ტანკები ეხმარებიან. მეამბოხეებმა და მეფის ჯარებს შორის შეუპოვარი ბრძოლები გაჩაღდა. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, თავიანობის ჯარებმა 6 საათის ბრძოლის შემდეგ უკუაქციეს მეამბოხენი.

ამავე დროს მეამბოხეები ზეგავლენას ახდენენ მეფეზე, რომელიც ლუანპრაბანში მომხდარი ამბოხების შემდეგ ფაქტიურად მათი ტყვე გახდა.

ვიენტიანში შიშობენ, რომ პარლამენტის დელეგაცია, რომელიც სავანაკეტს გაემგზავრა ბოლო ოუმთან მოსალაპარაკებლად, მეამბოხეებმა დაიპატიმრეს.

ცნობილი გახდა აგრეთვე, რომ შეერთებული შტატები კვლავ უმუეენენ შანტაჟს ლაოსის მთავრობას, ემუქრებიან რა დახმარების შეწყვეტას. კვლავ გამოათრიეს დღის სინათლეზე კომუნიზმის საფრთხობელა. ეხლაც ოელაც რა ფეხქვეშ საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებს, სახელმწიფო დეპარტამენტმა მოუწოდა ლაოსის მთელ „არაკომუნისტურ ძალებს“ გაერთიანდნენ „კომუნიზმის საფრთხის“ წინააღმდეგ საბრძოლველად.

დამახასიათებელია, რომ მეამბოხეთა საომარი ოპერაციები და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიმართვა დაიწყო მაშინვე, როცა სუვანა ფუმას მთავრობამ გადაწყვიტა მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და მეგობრობის მისია გაეგზავნა ამ ქვეყნებში, არის ახლი ცდები დაანშინონ სუვანა ფუმას მთავრობა და ხელი შეუშალონ მას „განახორციელოს თავის მიერ გამოცხადებული მშვიდობისა და ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, სამოქალაქო ომის გზაზე დააყენონ ლაოსი.

მდგომარეობა კონგოში

ლონდონი, 1 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, მობუტუმ ღღეს უარყო ამერიკის სააგენტოების მიერ გავრცელებული ცნობა პრემიერ-მინისტრ ლუმუმბას დაპატიმრების შესახებ.

არსებული ცნობებით, იუწყება რეიტერის სააგენტო, პატრის ლუმუმბა ამჟამად იმყოფება დაახლოებით 500 მილზე სტენლივილის სამხრეთ-დასავლეთით პორტ-ფრანკის რაიონში, კასაის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში. მას ახლავს ინფორმაციისა და კულტურის მინისტრი კანმბა.

მობუტუმ განაცხადა, რომ მისმა ჯარისკაცებმა მუშში, დაახლოებით 125 კილომეტრზე ლეოპოლდვილიდან, დააკავეს ლუმუმბას მთავრობის თავდაცვის მინისტრი მორის მპოლო, რომელიც მიდიოდა თავის საარჩევნო ოლქში ინონგოში. სხვა ცნობებით, მობუტუს ბანდიტებმა დაიპატიმრეს აგრეთვე კონგოს სენატის თავმჯდომარე ჯოზეფ ოკიტო 250 მილზე ლეოპოლდვილის აღმოსავლეთით.

ლონდონი, 1 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, პრეზიდენტმა კასავუბუმ ღღეს გამოაცხადა, რომ წყვეტს დიპლომატიურ ურთიერთობას არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტ ნასერისადმი წერილში, რომელიც ღღეს გამოქვეყნდა ლეოპოლდვილში, კასავუბუმ მოითხოვა დაუყოვნებლივ გაიწვიონ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩი ლეოპოლდვილში მურად გალები და საელჩოს დანარჩენი პერსონალი.

ბელგრადი, 1 დეკემბერი. (საკდესი). კასავუბუს ახალი პროვოკაციული ნაბიჯი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისადმი, ეს ბოლო ნაბიჯი, ეს ბოლო ნაბიჯი, ეს ბოლო ნაბიჯ

1840–1960

ხალხთა მეგობრობის მომღერალი

რუსულ ენასა და მწერლობას აკაკი ბავშვობიდანვე დაეწაფა ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის დროს მომავალი პოეტი გატაცებით კითხულობდა აკრძალულ რუსულ წიგნებს.

„ამ წიგნებიდან ვისწავლე
ბევრი რამ, რაც არ ვიცოდი“.

წიგნებიდან მოღებული შთაბეჭდილება, როგორც ჩანს, დიდი იყო. ახალგაზრდა აკაკის მწვავედ განუცდია საზოგადოების დაბალი ფენების მწარე ხვედრი.

„შებრალებოდნენ საწყლები
და მათის ცოდვით ვიწოდი“.

გასული საუკუნის 60-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის სხვა გამოჩენილ წარმომადგენლებთან ერთად ა. წერეთლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტმა.

პეტერბურგის უნივერსიტეტში აკაკისთან ერთად მრავალი ქართველი ახალგაზრდა ისმენდა გამოჩენილ რუს პროფესორთა ლექციებს, გატაცებით კითხულობდა „სოვრემენიკს“ და მოწყურებით ეწაფებოდა რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს. იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ გარდა მეფის რუსეთისა, რომელიც ჩაგრავს რუს ხალხსა და იმპერიაში შემავალ სხვა ხალხებს, არის „მეორე რუსეთი“ — ხალხთა განთავისუფლებისა და მეგობრობისათვის მებრძოლი რუსეთი, პუშკინისა და ჩერნიშევსკის დიდი სამშობლო.

ა. წერეთელი ეკუთვნოდა იმ შესანიშნავ ქართველ მოღვაწეთა რიცხვს, რომელთაც, მისივე სიტყვით „თავის ოცნებად აქვთ აღიარებული რუსეთთან საქართველოს სიყვარულით შეკავშირება ოქროს ჯაჭვითა და არა ჩინოვნიკური გრეხილით გადაბმა“. ეს აზრი საქართველო რუსეთთან კავშირის პროგრესულ ძნიშვნელობაზე ისევე ნათლად გასდევს დიდი პატრიოტი პოეტის შემოქმედებას, როგორც ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იდეა. აკაკი არასოდეს არ ივიწყებდა წინაპართა მიერ კოწახნისის ველზე სისხლით დაწერილ ანდერძს „ორთა კავშირის“ ალიანსებლობზე.

„კავშირი ჯვარით დამყარებული,
კავშირი ძმური და მეგობრული...
და ვინც იფიქროს მისი გაწყვეტა,
იყოს წუეული ღვთისგან და კრული.

ამის გამოსარკვევად, თუ რა აზრისა იყო აკ. წერეთელი დრამოქმედ კლასიკოსტერ დოგმებსა და „კანონებზე“, საკმარისია გავიხსენოთ მისი გესლიანი შენიშვნა ერთ ქართველ „კრიტიკოსზე“, რომელმაც თურმე სამოციან წლებში „გაიარა გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“. და ეი რა დაბეჭდა „დროებაში“: „ეს პიესა თუმცა კარგი რამ არის, მაგრამ არც დრამა და არც კომედიაო. დრამა რომ ყოფილიყო, ხუთმოქმედებიანი უნდა იყოს და კომედია სამმოქმედებიანი, და ეს კი ოთხმოქმედებიანიაო“.

ასევე მწარედ კიცხავდა აკაკი ყველა იმას, ვინც „უნიჭო სუმბათოროკოს გენიოსად თვლიდა“ „ან ხერასკოვს ბაირონზე მაღლა აყენებდა“, ან კიდევ იმათ, რომლებიც „ტრედიაკოვსკის აქებდნენ და რუსთაველს კი დასცინოდნენ. რუსი კლასიკოსტებიდან ა. წერეთელი გამოაყოფდა ლერმონტოვს და ნიჭიერ მწერლებს, საგანგებოდ აფასებდა ისეთ გოლიათს, როგორიც იყო ლერმონოსოვი. ფრიად დამახასიათებელია, რომ თავის მეგობარს, ცნობილ პროფესორ ვ. პეტრიჩევილს აკაკი „საქართველოს ლერმონოსოვს“ უწოდებდა.

ა. წერეთლის თხზულებებში მკაცრად კრიტიკებული არიან აგრეთვე XIX საუკუნის პირველი ნახევრის კონსერვატიული რომანტიზმის წარმომადგენლები — კუკოლნიკი და ბენედიქტოვი, ომლებიც ცამდე აჰყავდა ოფიციალურ პრესას. აკაკი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ მათ უნიჭო თხზულებებს მხოლოდ ზ ნიანის მოტანა შეეძლო.

გასული საუკუნის 60-80-იან წლებში რუსულ ლიტერატურაში მკვეთრად იჩინა თავი რეაქციულ-შოვინისტურმა მიმდინარეობამ. ცარიზმის ლაქიათა ხროვას მაინც. სათავეში ჩაუდგა ჟურნალისტი მ. კატკოვი. მან და მისმა დამქაშებმა არაერთხელ გამოილაშქრეს ქართველი ხალხის წინააღმდეგაც, არა ერთი და ორი წერილი დაბეჭდეს იმ მიზნით, რომ მტრობა ჩამოეგდოთ რუს და ქართველ ხალხებს შორის. აკაკი წერეთელი, ისევე როგორც ილია ჭავჭავაძე და სხვა მოწინავე ქართველი მოღვაწეები, რუს თანამოკალმეთა მსგავსად, გაბედულად ებრძოდნენ ამ რეაქციულ ჟურნალისტებს.

ცნობილია, თუ რა აღშფოთება გამოიწვია ოთხმოციან წლებში კატკოვის „მოსკოვსკეი გედომოსტიში“ დაბეჭდილმა შოვინისტურმა რეაქციონიამ დ. ერისთავის ბიერ ქართულად გადმოკეთებულ პატრიოტულ პიესა „სამშობლოზე“. მაშინ ბრძოლამ აშკარა პოლიტიკური ხასიათი მიიღო. კატკოვის საზიზღარ გამოხდომას სხვა მოწინავე მოღვაწეებთან ერთად საკადრისი პასუხი გასცა აკაკი წერეთელმაც. თავის მგზნებარე წერილში „ვერა ხედავთ?“ დიდმა ქართველმა პოეტმა საბარცხვინო ბოძზე გააკრა ცარიზმის ოფიციალური ჯაშუში კატკოვი და მისი თანამოაზრეები.

ასევე მკაცრად ამხილებდა აკაკი შავრაზმელ რუს ლიტერატორ ვ. ველიჩკოს, რომელიც 1896-99 წლებში თბილისში გზით „კავკაზს“ ედგა სათავეში. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გამტარებელი ველიჩკო ცდილობდა შეეღო ბოლოვიებნა ამიერკავკასიის ხალხთა შორის. იგი განსაკუთრებით ესხმოდა თავს სომხებს და თავი ქართველებს მოსაყვარულად მოჰქონდა. ა. წერეთელი მიუხდა ველიჩკოს ცბიერ პოლიტიკას და ნიღაბი ჩამოგლიჯა მას თავის ლექსში „ყიზლბაშური“.

თვალი დაუდგეს ქართველ კაცს,
ველიჩკოს მოტრფიალესა,
ვერ ხედავს, მის დახაკლავად
რომ მან მახვილი გალესა?
სომხებს რომ უყეფს, იმავ დროს
კუდს უქიცინებს ქართველსა,
მაგრამ ორივეს თანსწორად
ანთხევს საწამლავ ნაღველსა.

ამავე ლექსში მხილებული არიან ამიერკავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი და შავრაზმელი მოხელე ბუტირკინი — ორივენი ქართველი ერისა და კულტურის დაუძინებელი მტრები.

• • •

ა. წერეთელმა მშვენივრად იცოდა, რომ რუსი ხალხის აზრსა და განწყობილებას გამოხატავდა არა რეაქციონერ-შოვინისტ ლიტერატორთა ხროვა, არამედ მოწინავე რუსული მწერლობა, რომელიც გამოირჩეოდა მაღალი იდეურობით, რეალიზმითა და ჭეშმარიტ პატრიოტიზმით. აკაკის თხზულებებში ხშირად გვხვდება გამოჩენილ რუს მწერალთა ბრწყინვალე დახასიათება და მაღალი შეფასება.

ა. წერეთელს პეტერბურგში სწავლა მოუხდა ბობოკარ ეპოქაში, როცა უაღრესად გამწვავებული იყო კლასთა ბრძოლა და ამასთან დაკავშირებით ცხარე კამათი მიმდინარეობდა ესთეტიკის საკითხებზე — ხელოვნების არსისა და დანიშნულების შესახებ. რევოლუციურ-დემოკრატიულმა ბანაკმა, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის მეთაურობით, მკაცრად გაიალაშქრა როგორც ბატონყმურ-თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ, ასევე იდეალისტური ესთეტიკის, „წმინდა ხელოვნების“ წინააღმდეგაც.

„საოცაან წლებში, — წერდა აკაკი „მცირე შენიშვნაში“, როდესაც ხელოვნებამ ისე გაიტაცა რუსეთის მწერლობა, რომ უკეთესი და უნაკლოესი წარმომადგენელნი ძირს ფეხს აღარ დგამდნენ და მხოლოდ მამოფრენდნენ ცის ლაჟვარდში ცხოვრებისაგან მოსლეტილნი, მაშინდელმა გამოჩენილმა მწერალმა ჩერნიშევსკიმ შენიშნა მათ, რომ ხელოვნება მარტო უნაყოფო ხელოვნებისათვის კი არ უნდა იყოს, ცხოვრებას უნდა ემსახურებოდეს... ამით იმის უნდოდა, რომ უკიდურესობაში ჩამდგარი ხელოვნება ორგორმე გამიჯნულიყოს ამ ეპოქაში ჩაეყენებინა... მაგრამ ამ მეცადინეობამ მეორე, უფრო სამწუხარო უკიდურესობა გამოიწვია; ჩერნიშევსკის საფუძველიანი აზრით გატაცებულმა პისარევმა, ზაიცევმა და სხვათა თავი ვეღარ შეიმაგრეს, ზომა დაკარგეს და თითქმის სასაცილო უკიდურესობაში ჩაცვივდნენ: უარყვეს საზოგადოდ ხელოვნება და დაჰგმეს პოეზია“.

ა. წერეთელი უარყოფდა როგორც „სუფთა ხელოვნების“ იდეალისტურ თეორიას, ისე პისარევისებურ ნიჰილიზმს და ინარეკვა მატერიალისტურ ესთეტიკას, რომელსაც ქადაგებდნენ „შესანიშნავი კრიტიკოსი ბელინსკი“ და „გამოჩენილი მწერალი ჩერნიშევსკი“. ძირითადად მათი პოზიციებიდან აშუქებდა დიდი ქართველი პოეტი თავისი დროის მრავალ საკრებლობრივ საკითხს და რუს მწერალთა შემოქმედებას. ამის ნათელსაყოფად საკმარისია გავიხსენოთ . შემდეგი ფაქტები.

ᲡᲐᲛᲝᲪᲘᲐᲜ წლებში კამათი მიმდინარეობდა პუშკინისა და გოგოლის შემოქმედების შესახებ. „წმინდა ხელოვნების“ თეორეტიკოსებმა „თავიანთ პოეტად“ გამოაცხადეს და იგი გოგოლს დაუპირისპირეს, ხოლო პისარევმა საერთოდ უარყო პუშკინი. აკაკი პეტერბურგში სწავლისათვის სწორედ იმ დროს ჩავიდა, როდესაც, მისივე სიტყვით, „ნიჰილერი პისარევი და მყვარალა ზაიცევი დაუდგნენ თავში ხელოვნების უარმყოფელებს, მთელი მკითხველი რუსეთი შეიძრა და მაშინ წარმოითქვა შესანიშნავი სისულელე: „შექსპირს ანტონოვიჩის ჩექმები სჯობიაო“ და იმავე დროსვე, რასაკვირველია, ცდილობდნენ პუშკინის ღიდამშესთან გასწორებას“.

ა. წერეთელი არსად არ აბდენს პუშკინისა და გოგოლის დაპირისპირებას, ორივეს დიდად აფასებს, მაგრამ ჩერნიშევსკის მსგავსად, უპირატესობას მაინც აძლევდა კრიტიკულ რეალიზმს, სატირულ მიმართულებას, ისეთ მწერლებს, როგორიც იყვნენ გოგოლი, გრიბოედოვი და კრილოვი. ეს ნათლად გამოვლინდა ლექსში, რომელიც აკაკიმ წაიკითხ. 1886 წელს გოგოლის „რევიზორის“ დადგმიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით თბილისში გამართულ საიუბილეო საღამოზე.

ა. წერეთელს სიტყვით, ნ. გოგოლი იმ დროს მოღვაწეობდა, როდესაც „რუსეთში ყოველგვარ სამაგლობას და ცრუპეშმარიტებას უმაღლესი მტრვალობის ალთა ეფარებოდა“. სწორედ მაშინ გაისმა გოგოლის „უცნაური ხარხარი“, საიდანაც წვეთ-წვეთად ეონავდა „განმკურნებელი წამალი“, ცრემლნარევი სიცილი.

გიბოიედოვის უკვდავ კომედიას აკ. წერეთელმა მარგალიტი უწოდა და დიდი კმაყოფილება გამოთქვა, რომ იგი განდგომლმა ქართულად გადმოთარგმნა.

რაც შეეხება კრილოვს, მისი 205 იგავ-არაკიდან აკაკიმ 153 თვითონვე გადმოთარგმნა და გადმოაკეთა. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი პოეტის სიყვარული და პატივისცემა გენიალური რუსი მეიგავსადმი უაღრესად დიდი იყო.

ქართველი პოეტი 1878 წელს დაესწრო რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიის უდიდესი წარმომადგენლის ნ. ნეკრასოვის დასაფლავებას პეტერბურგში და თავისი შთაბეჭდილებანი აღწერა ნ. ნიკოლაძის გზით „ობზორში“ დაბეჭდილ კორესპონდენციაში. აკაკი მოწიწებითა და პატივისცემით მოგვითხრობს ნეკრასოვზე, რომელმაც „თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი გლეხთა ინტერესებისათვის ბრძოლას შეალია,“ გაეცნო პოეტის კუბოსთან გამართულ კამათს იმის შესახებ, რომ პუშკინი და ლერმონტოვი უფრო დიდი პოეტები იყვნენ, თუ ნეკრასოვიო... თავის აზრს ამ საკითხზე ა. წერეთელი არ გამოთქვამს, მაგრამ ცნობილია, რომ იგი საერთოდ მაღალ შეფასებას აძლევდა ნეკრასოვს, როგორც რუსული პოეზიის ბუმბერაზს.

თავის ერთ-ერთ თეატრალურ წერილში (1886) ა. წერეთელმა მოგვცა დიდი რუსი დრამატურგის ა. ოსტროვსკის შემოქმედების ბრწყინვალე დახასიათება. ეს წერილი ბევრ რამეში ემთხვევა ნ. ღობროლიუბოვის ცნობილ სტატიებს ოსტროვსკიზე. ქართველი პოეტი არა მარტო იცნობდა, არამედ უდავოდ იზიარებდა ამ სტატიების ძირითად დებულებებს.

• • •

ორმოცდაათი წლის წინათ, 1910 წლის ნოემბერში გარდაიცვალა ლევ ტოლსტოი. საქართველოშიაც მწვავედ განიცადეს ტოლსტოის გარდაცვალება. აკაკი წერეთელმა „სახალხო გაზეთში“ მოათავსა სპეციალური სტატია, რომელშიც მეტად მაღალ შეფასებას აძლევს ტოლსტოის, მაგრამ არ იზიარებს მის რეაქციულ თეორიას „ბოროტებისადმი უწინაღმდეგობლობის“ შესახებ. აკაკის სიტყვით, ტოლსტოი „სიბერის დროს საფილოსოფო გზას დაადგა და შეიძლება ზოგი რამ მისთანა წასცდა, რაზედაც არ დაეთანხმოს მკითხველი, მაგალითად, „კრეიცერის სონატა“, ბუნების წინააღმდეგ მოძღვრება, როგორც დრამატურგის შექსპირს გაკიცხვა, მეცნიერების უარყოფა, ხელოვნების გადაგმა და სხვანი“.

საინტერესოა, რომ ი. ჭავჭავაძეც ანალოგიურად ახასიათებდა ტოლსტოის, რომლის ფილოსოფიამაც ...„აალაყანა მთელი რუსეთი“. აკაკის მიერ გაკრიტიკებული „კრეიცერის სონატას“ თავის დროზე დიდი სტატია უძღვნა ნიკო ნიკოლაძემაც, რომელმაც სასტიკად გაიალაშქრა ტოლსტოის მცდარი შეხედულებების წინააღმდეგ.

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ქართველი მოღვაწეები დიდად აფასებდნენ ტოლსტოის, როგორც ძალმომრეობაზე დამყარებული წყობილების გაბედულ მამხილებელსა და გენიალურ მხატვარს. აკაკი აღნიშნავს, რომ ტოლსტოიმ, როგორც „ნამდვილმა გენიოსმა, რუსეთში წარმოშობილმა, გაითქვა სახელი და ცამდე აიყვანა მისი დიდება“, ხოლო მწერლის გარდაცვალებამ დიდად შეაძრწუნა ყველა ადამიანი. ტყუილად კი არ ჰყავდა ის ტურგენევს საოცრად წარმოდგენილი. გრაფ ტოლსტოის ხელოვნური ნაწარმოებნი, პატარა-პატარა მოთხრობები სეგასტოპოლის ბრძოლის შესახებ, კავკასიის ამბების აღწერა, „ეაზაკები“ და სხვანი მართლაც საოცრად ჰხიბლავს მკითხველს. დიდმა რომანებმა: „ომი და ზვიერ“, „ანა კარენინამ“ და სხვათა, საკვეყნოდ გაეთქვეს სახელი, როგორც გენიოს ხელოვანს“. მიუხედავად ტოლსტოის შეცდომებისა, — ვკითხულობთ სტატიაში, „მისი მოსაზრება ყველასათვის სასარგებლოა და ზედ სიბრძნის ბეჭედი აზის... ისე შეგნებულად და გამბედავად მებრძოლს, როგორც ტოლსტოი იყო, მთელს მის სიცოცხლეში ძვირად ვხედავთ“...

აკაკი წერეთელი, დიდი ქართველი პოეტი-პატრიოტი, მეფეთ თავისი ნაბეჭდი ენერგიით ებრძოდა თვითმპყრობელურ რუსეთს, რეაქციულ-შოვინისტურ „კულტურას“ და ამავე დროს დაუცხრომლად იღვწოდა რუს, ქართველ და სხვა ხალხთა მეგობრობის განსამტკიცებლად. იგი ქართველ ხალხში ნერგავდა რუსეთთან ძმობისა და გულწრფელი სიყვარულის კეთილშობილურ გრძნობებს. „ამბობენ, — წერდა აკაკი, — რომ ხელოვნებას სამშობლო არ აქვს და მთელ ქვეყანას თანასწორად ეკუთვნისო. მე კი ასე არა მგონია. ყოველ დარგს ხელოვნებისას აქვს სამშობლო, მაგრამ განსაკუთრებითი... განკერძოებული სამყოლბელო, მამული კი არა, ის ღვიძლ შვილია იმ კუთხისა და იმ ერის, სადაც პირველად თავი უჩენია და იმავე დროს შვილად შეტკბობილი გერია მთელის კაცობრიობისაც. და მიტომაც ხელოვნებას საზოგადოდ პირველი აღგილი უნდა ჰქონდეს ფათმობილი, როგორც საერთაშორისო კავშირს“.

აკაკის ეს კეთილშობილური სიტყვები დღესაც არ კარგავენ თავიანთ ძალას, შთაგაგონებენ ხალხთა და ლიტერატურათა მეგობრობის იდეებს.

პროფესორი ვ. შალური.

2.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ! წარმოთქვამ ამ უძველესი ქალაქის სახელს და მაშინვე გაგახსენდება აკაკის მშვენიერი ლექსის სტრიქონები:

მშვენიერო ქუთაისო,
სავარდო და სამაისო.

„კარგია ჩვენი ქუთაისი, რომ საქმეში იყოს გართული“,—ამბობდა ქართველი ერის სულმნათი, — მაგრამ „მართლაც ისეთი უბედურია, რომ რაც მისთვის სასარგებლო და საკეთილდღეოა, ის აშორებით გვერდს უვლის ხოლმე, და რაც საჭირბოროტოა, ის კი შუაგულში ეტანება და აღარ შორდება. ვისი ბრალია?“ და პასუხს თვითონვე იძლევა ჩვენი სასიქადულო მგოსანი.

„ქართნები ჩვენ არ გვაქვს, რომ ვაჭრობმა თავისი ნახელავით, ნაშრომით ისარგებლონ, სანუალ ხალხს ტყავს აძრობენ, ამბაზის საღირალში მანეოს ართმევენ“, — წერდა აკაკი „მაშინდელ ქუთაისზე, მაგრამ თვითონვე აიმედებდა მშობლიურ ქალაქს, რომ ოდესმე მასაც ეშველებოდა, დარდი გაუქრებოდა:

„მაგრამ, ჰეშო ქუთაისო,
ძალიერ სხვასთან შენანთვისო,
გოთ ᲘᲛᲘᲜᲔᲑᲐᲗ!.. ᲒᲝᲗᲗᲘᲛᲘᲜᲔᲑᲐᲗ!...
ᲡᲘᲫᲕᲘᲗ ᲒᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲘᲫᲣᲚᲘ!“

მოთმინების ჯაფაც გავიდა. 1921 წლის 25 თებერვალმა მოუტანა ბედნიერება, სახალხელი საქართველოს. რეპუბლიკის სხვა ქალაქებთან ერთად უმაგალითოდ აყვავდა ქუთაისი. იგი საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი გახდა. ქართული ავტომობილის კერაა ჩვენი ქუთაისი. იგი ახლა ნამდვილად საგარდო და ისე ლამაზია, როგორც მაისი ჩვენს სამშობლოში.

• • •

სურათზე: **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.** ი. ბ. სტალინის სახელობის მოედანი.

ფოტო ე. ციციშვილისა.

უკვდავი მემკვიდრეობა

ᲛᲐᲚᲔ დასრულდება აკაკის თხზულებათა თხუთმეტტომეულის გამოცემა. ამ საზეიმო დღეებში მკითხველმა უკვე მიიღო მეთორმეტე ტომი. მომდევნო ორ ტომში დაიბეჭდება მწერლის პუბლიცისტური წერილები, ხოლო უკანასკნელი, მეთხუთმეტე ტომი გამოვა ორ ნაწილად. პირველ ნაწილში დაიბეჭდება აკაკის მიწერ-მოწერა, მეორე ნაწილში — მწერლის მიერ რუსულ ენაზე დაწერილი მხატვრული ნაწარმოებები და წერილები.

გედის ღიმილი

ᲩᲔᲛᲘ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲓᲘᲓ ᲛᲒᲝᲡᲐᲜᲖᲔ

ᲒᲐᲕᲨᲕᲝᲛᲑᲐᲨᲘ ბევრ ლექსსა გწერდი და ბევრსაც დავბრბოდი მაშინდელ რედაქციებში. პირველი ლექსის დაბეჭდვის შემდეგ (ჩემი პირველი ლექსი „მცხეთა“ დაიბეჭდა 1911 წლის იანვარს გაზეთ „სინათლეში“) მარნე ძალზე ამიტაცა სურვილი დაბეჭდვისა. პირდაპირ ცეცხლელება მემართებოდა, რედაქცია თუ სტამბა ჩემთვის უწმინდესი ტაძარი გახდა.

გაზეთ „თემის“ რედაქციასაც ხშირად ეესტუმრებოდი ხოლმე ჩემი ბალღური ლექსებით.

ერთხელ, როცა შევაღე „თემის“ რედაქციის კარი (დასამძიეს ბინა და რედაქცია ერთად ჰქონდა), გიგო ჩვეულებრივი ღიმილით შემხვდა, თავაზიანად შემიწვია კანბინტში და მერე დანანებით მითხრა: ახ, ყმაწვილო, რა იქნებოდა, ნახევარი საათით აღრე მოსულიყავი. აკაკი იყო აქ...

— ხომ გიყვარს აკაკი? — დაინებით მეკითხებოდა გიგო ღიასამიძე და პასუხი აღარ დამაცალა: — ნამდვილი იალბუზია! სანამ აკაკი ჰყავს საქართველოს, არა უჭირს რა!.. არა უშავს რა, ჩემთან ხშირად დადის. აკაკი და, მერე როცა მოხვალ, გაგაცნობ!

გამეგონა, რომ აკაკი ხან მთელი დღეობით რჩებოდა ღიასამიძისას, იგი ხომ ღიასამიძის ნამდვილი სათაყვანო კერპი იყო! მართალია, რედაქტორი ისეთი დიდ საჩქარს მპირდებოდა, მაგრამ ის კი არ იცოდა, რომ ჩემისთანა მორცხვი ბავშვისთვის აკაკისთან შეხვედრა პირდაპირ წარმოუდგენელი და უძნელესი ამბავი იყო! ერთი მხრივ, თითქმის ძმაყოფილიც კი ვიყავი, რომ აკაკის ვერ შევხვდი! ან ბელი საფ ფენდა ეწამეღო, ან ფეხი! ან რა უნდა მეპასუხნა? აკაკი ხომ ღვთაება იყო! ალბათ, ეს არ გაითვალისწინა ჩემმა მფარველმა რედაქტორმა!

ერთხელ ბედმა გამიღიმა. სემინარიაში მივდიოდი. ნაადრევ გაზაფხულზე, საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, ბაბინდელ წყნეთის ქუჩაზე. სწორედ რუსთაველის ძეგლის გადმოსწვრივ, სივრცეში უეცრივ რაღაც მარმარილოსებრ სითეთრეს მოვაკარ თვალი! შევხედე, მიმავალ ეტლში აკაკის თავი დავინახე! ეტლი რუსთაველის პროსპექტიდან დღეკენდელ ლენინის ქუჩისაკენ მიდიოდა. აკაკი წერეთელი! წარმოვთქვი ხმამაღლა, გავედევნე ეტლს. ეტლმა გამასწრო. მე, ამაყი ღა ალტაცებული, დიდხანს გავყურებდი აჩქარებით მიმავალ ეტლს, რომელშიც აკაკი იჯდა.

ისე ამოქმედა ამ ხილვამ, რომ სემინარიაში აღარ წავედი და იმ საღამოს გამგვეთილებსაც ვერ დავუდე გული!

ბოლოს, მაინც მეღირსა არა მარტო აკაკის ხილვა, არამედ მისი ლექსების მოსმენაც!

1913 წელს, ვგონებ მარტში, აფიშებზე წავიკითხე, რომ მაშინდელ ზუბალაშვილის „სახალხო სახლში“ (დღევანდელი მარჯანიშვილის თეატრი) იმართებოდა დიდი სალიტერატურო დილა.

სალიტერატურო დილის პროგრამაში მონაწილეთა შორის გამოცხადებული იყვნენ: აკაკი, ვაჟა-ფშაველა და სხვა მაშინდელი მწერლები და პოეტები. რა გამაჩერებდა? მაშინვე შევეძინე ქანდარის ბილეთი და დიდი მოლელარებით მოველოდი აკაკისა და ვაჟას გამოჩენას. როგორც იყო, აიხაკი ფარდა და გამოვიდა აკაკი! ატყდა დაუდგრომელი ტაშისცემა, პოეტი დიდხანს იდგა მდუმარე. ბოლოს დაიწყო თავისი „განთიადი“. ერთ-ორ ალაგას კიდეც შეეშალა, მაგრამ ხალხმა მაშინვე მიიმეცა როგორც პარტერიდან, ისე ქანდარიდან. ეტყობოდა, პოეტს ესიამოვნებოდა და სხე ეღიმოდა... მეორე ლექსიც წაიკითხა, ბოლოდ აღარ მახსოვს, რომელი.. დიდხანს არ შეჩწყდარა ტაში. შემდეგ გამოვიდა ვაჟა-ფშაველა და „ირწეული ვნახე დაჩრილი“ და „ბახტრიონიანი“ შესაფალი წაიკითხა. (ამ დღეს იქ ვნახე პირველად სანდრო შანშიაშვილი და იოსებ გრიშაშვილიც...)

მთელი დღე გაბრეტებული ვიყავი აკაკისა და ვაჟას ხილვით და მათი ლექსების მოსმენით ხომ ჩემთვის პირველი იყო! ფილა რომ გათენდა, დიდხანს ვუცადე მოავარ გამოსასვლელ კართან, კიდევ მინდოდა თვალი დამეკარა აკაკისა და ვაჟასადმი. მაგრამ ამჯერად სურვილი არ ამისრულდა. ეტყობა, სხვა კარიდან გამოსულიყვნენ. ეს იყო ჩემგან უკანასკნელი ნახვა აკაკისა.

1915 წელს, როცა ოსმალეთი მოიწვა კავკასიის ფრონტს და თბილისში სასწავლებლები ლაზარეთებად აქცეს, სემინარიის პანსიონიდან დამითხოვეს და სოფელში (პატარძეული) წავედი... იანვრის ბოლო დღეებში პატარძეულში მოვიდა ცნობა: აკაკი გარდაიცვალოს! მახსოვს, ძალიან ცივი და ყანლიანი დღე იყო, შევკაეტე ჩვენს სასტუმრო ოთახში, ვიფიქე ფანჯარასთან დადგარდიანებული, იმავე დღეს დაფენილ პატარა ლექსი, რომელიც იმ ხანად დაიბეჭდა ყურნალ „განათლებაში“, ლექსი ასე მთავრდებოდა:

მამავ ძვირფასო! რისთვის დაგეტოვე,
შენ დაგეკითინებო, შენ ჩამოგტირითო!

დავფაცურდი მაშინვე, რათა პატარძეულში რითმიე აღგვენიშნა საქართველოს სამგლოვიარო ამბავი, მაშინ წესად იყო პანაშვიდის გადახდა და სიტყვების თქმა. მართლაც, პატარძეულის ღვთისმშობლის ეკლესიაში, სადაც მარხია სახალხო გმირი სოლომონ ბუტეულაშვილი, შეიკრიბა ადგილობრივი ინტელიგენცია, გადავიხადეთ პანაშვიდი. სიტყვები წარმოვთქვით მე და ვასილ კოზმოვმა.

ახლა საჭირო იყო სამგლოვიარო დეპეშისა და ინფორმაციის გაგზავნა თბილისის გაზეთისათვის, ეს ეც მე ვიკისრე, მაგრამ მაშინ ფოსტა იყო მხოლოდ სოფელ სართიჭალაში, რომელიც ჩემს სოფელს დაშორებულია ოთხი კილომეტრით.

ზამთრის მზიანი დილა იყო, გავეშურე სართიჭალაში. იორზე ხიდი არ იყო, ვაგლახით გაველ იორს და დეპეშა გავუგზავნე გაზეთ „სახალხო ფურცელს“, დეპეშა დაიბეჭდა... ფოსტაში რომ შველ, მოხმელი არ ჩანდა. მოლოდინში ვიდექი და გაზეთს ვათვალიერებდი, უცებად შემოვიდა შავრაზმელი რუსი მოხელე და ყვირილი დამიწყო. ჯერ ვერ მივხვდი, მერე გაიფთრებული მომპარდა ყვირილითო: როგორ ჰბედავ მოწაფე ქუდით დგომას! განა ვერა ჰხედავ იმპერატორის სურათს! და მიმითითა კედელზე ჩამოკიდებულ ნიკოლოზ II-ის პორტრეტზე. დამეწვა, ძალიან მომგლიჯა ქუდი და დამიმუქრა. დეპეშა მიიღო, მაგრამ ჩემი დატუქსვა და დაშინება აღარ გაათავა...

ასეთ ვითარებაში გავგზავნე სამგლოვიარო დეპეშა...

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ,
საქართველოს სახალხო პოეტი.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ...

ᲐᲙᲐᲙᲘᲡ მთელი ცხოვრება, მისი სახელოვანი მოღვაწეობა განუყოფელად დაკავშირებულია „სავარდო და სამაისო“ ქუთაისთან, აქ შეაღო პირველად მან გიმნაზიის კარი, აქ ჩაბარა პირველი „ეგზამენები“... შემდეგშიც აქ აღღერებდა დიდი პოეტი თავის მომხიბვლელსა და შთამაგონებელ ჩანგს.

ქუთაისში ბევრი მეტად საინტერესო მასალაა შემონახული ქართველი ერის სასიქადულო მგოსანზე. ამ მასალებისა და დოკუმენტების დიდი ნაწილი თავის დროზე იხახებოდა აკაკის ყველაზე უახლოესი მეგობრის, გამოჩენილი მოღვაწის კირილე ლორთქიფანიძის ლიტერატურულ არქივში, რომელიც ახლა მთლიანად დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

აკაკი წერეთლის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე, რომელიც ქუთაისის მუზეუმშია მოწყობილი, ფართო ადგილი აქვს დათმობილი აკაკისა და კ. ლორთქიფანიძის ზემორიალურ ნივთებს, მიწერ-მოწერასა და ამ ორი ადამიანის უანგარო მეგობრობის ამსახველ დოკუმენტებს. ამ მასალებიდან და მემორიალური ნივთებიდან გამოფენაზე წარმოდგენილია აკაკისეული სავარძლები, პატარა მაგიდა, ხის უბრალო კალმატარი, ეგრეთვე ლორთქიფანიძისეული მაგიდა, ჭაღარაკი და სხვა ნივთები. ამ სავარძლებში მჯდომ მეგობრებს ამავე მაგიდაზე ხშირად უთამაშნიათ ჭადრაკი, უძილო ღამეებში ერთმანეთისათვის გაუზიარებიათ ფიქრები ხალხის ნათელ მომავალზე.

გამოფენაზე წარმოდგენილია აკაკის ნაწარმოებთა ავტოგრაფები, დიდი პოეტის ხელით დაწერილი ლექსის „გაზაფხულის“ და ისტორიული პოემის „თორნიკე ერისთავის“ ორიგინალები. აქვეა რეგალიაც ამდენ ქუთაისში სხვადასხვა დროს გამოცემული აკაკის ცალკეულ ნაწარმოებთა ეგზემპლარები, 1908 წელს გამოცემული საიუბილეო ალმანახი „აკაკი“ და 1899 წლის „აკაკის თვიური კრებული“.

პოეტის მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავი იუბილე რომ ქართველი ხალხის ნამდვილ დღესასწაულად იქცა, ამას კიდევ და კიდევ ცხადყოფს ქუთაისის მუზეუმში დაცული და გამოფენაზე წარმოდგენილი უნიკალური ფოტოალბომი, მრავალი ფოტოსურათი და სხვა დოკუმენტი.

მაგიდაზე დევს საკმაოდ დიდი ფოტოალბომი, რომლის ყდა დამშვენებულია ოქროსფერი წარწერით: „1858-1908. აკაკი წერეთელს, დიდებულს მგოსანს, მაღიდის მადიდებელი და თაყვანისმცემელი ქიათურა“. ეს ალბომი სამწერლო მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავზე მიუძღვნიათ ქიათურელ ბეჭდვა მშრომელებს. ალბომში მოთავსებული დ. ნ. აბაშიძის ფოტოსურათები, რომლებიც სათანადო წარწერებით ქიათურის იმდროინდელ ხედებს, მარგანეცის პრიმიტიული წესით მოპოვებას, გადმოზიდვასა და ვაგონებში ჩატვირთვის პროცესებს, ძველ მაღაროელთა მძიმე შრომას, მათს ველურ ყოფასცხოვრებას აგვიწერენ, მრავალმხრივ საინტერესო და საგულისხმოა.

ფოტოდოკუმენტები მოგვითხრობენ, თუ რა სიყვარულითა და განსაკუთრებული აღფრთოვანებით იზეიმა ქუთაისმა აკაკის იუბილე. ქალაქის ცენტრალურ ბაღში სახალხო ზეიმისა და სოფელ მუხიანში აკაკის მოგზაურობის ამსახველ სურათებთან ერთად ქედლებზე ჰკიდია ორი სურათი „ალთოეოზი“. ერთი მათგანი გადაღებულია ქუთაისის თეატრში, ხოლო მეორე — კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც აკაკი სწავლობდა. პირველზე აკაკის ირგვლივ შემოკრებილან ეროვნული ტანსაცმლით გამოწყობილი საქართველოს ყველა კუთხის შვილთა წარმომადგენლები, ხოლო მეორეზე — გიმნაზიისა და ქალთა სასწავლებლის მოსწავლენი.

გამოფენ

აკაკის

სავანესა და სხვიტორში

სადაც დაიბადა და იზრდებოდა მგოსანი

სხვიტორსა და სავანეზე ბევრი თქმულა და დაწერილა. უკვდავმა მგოსანმა უკვდავყო ეს სოფლებიც. მათზე რაიმე ახლისა და ორიგინალურის თქმა ძნელია. ჩვენ მხოლოდ შეგახსენებთ როგორ გამოიცვალა სხვიტორი და სავანე, როგორ შრომობენ და ცხოვრობენ დიდი პოეტის თანასოფლელები, თანამემამულეები.

სხვიტორზე თვით აკაკი წერდა: **„სოფელი სხვიტორი დაბა საჩხერის ნაწილია და მდებარეობს მდინარე ჩისურის პირად, გალმა-გამოღმა გორაკებზე“.** ამ ლამაზ სოფელს მაღალი კლდიდან დაჰყურებს ქართველთა გმირული ბრძოლებისა და მწარე დროებათა მოწმე ციხე — „მოდინახე“, რომელიც, აკაკის თქმით, „ციხეთ-ციხე, ამაყი ციხეა“.

დიდ მგოსანს გატაცებით ჰყვარებია მშობლიური სხვიტორი. მას იაკობ გოგებაშვილისათვის მიუწერია: **„სურამსაც და ბორჯომსაც სჯობია ჩვენი საჩხერე, განსაკუთრებით, სადაც მე ვსახლობ, — არც ქარი იცის, არც სიცხე და არც სიცივე“...**

სხვიტორი უნახავს ქართველთა სტუმარს, ცნობილ გერმანელ მწერალს არტურ ლაისტს და ძალიან მოსწონებია. მისი „სილამაზის შესახებ ბევრჯერ მილაპარაკნია ილიასთან“, — წერს იგი.

„აკაკის სახლი, — ამბობს ლაისტი, — ტყიანი ხეობის შესავალთან არის, ჩრდილოვანს, თითქმის საიდუმლოებით მოცულს ბაღში და თავისი სისპეტაკით ნათლად და სასიამოვნოდ გამოიყურება ხეების მდიდარ მწვანე საძოსელს შორის“.

აკაკი ვოსიბლული ყოფილა მშობლიური მიდამოებით, ძოუსვენარი ჩიხტრით. უებრო მგოსანს მან თქმულვინა: **„მიყვარს ხაზოგადოდ ბავშვი, უგულითადესად პატივსა ვცემ მოხუცებულობას, ღირსეულად ვეფასებ ვაჟკაცობას, მაგრამ გული კი ჭაბუკობისაკენ მიმიწევს და ყველაზე უფრო იმას შეფრქვევით ვეტრფიალები...**

ალბათ ამის მიზეზი უნდა იყოს, რომ წყლებში ან ყოველგვარ მდინარეს გუმაკი ხევის წყალი მირჩევნია და მათში კი უპირატესობას ერთს მათგანს, ჩიხურას ვაძლევ: ეს იყო ჩემი საკუთარი ემბაზი და ჩემი პირველი სარკე“.

ოცდაათი წელია სხვიტორში საკოლმეურნეო შრომა სუფევს, რომელმაც შეძლებული და კულტურული გახადა ცხოვრება. კოლმეურნეობა ღირსეულად ატარებს სხვიტორელთა დვიძლი შვილის აკაკის სახელს. იგი პირველი მილიონერი კოლმეურნეობაა საჩხერეში. ძირფესვიანად გამოიცვალა აქაური მშრომელების ყოფა-ცხოვრება.

სოფელში ამჟამად ოთხასი კომლია და მათი უმრავლესობა ახალ, ორსართულიან ოდებში ცხოვრობს. ასამდე კოლმეურნეს უკანასკნელ ორ-სამ წელს აეშენა ახალი სახლი. საუცხოო ამერული ოდა-სახლები აეშენეს კოლმეურნეებმა თედორე და ლავრენტი მოსიაშვილებმა, მიხეილ და სიმონ ლურსმანაშვილებმა, სანდრო ზაბახიძემ, გივი ჯაჯანიძემ, ანდრო ყიფიანმა. ყველა ოჯახში არის ელექტროგანათება, რადიო.

კოლმეურნეობას აქვს საკოლმეურნეო საკურნალო ბანო 28 აბაზანით და ორმოცი საწოლით, საკოლმეურნეო სასტუმრო, სასოფლო მაღაზია, ხე-ტყის სახერხი ქარხანა, ტრაქტორი, რამდენიმე სატვირთო და ერთი მსუბუქი ავტომანქანა.

წინ წავიდა სოფლის კულტურა. სხვიტორში არის დაწყებითი და შვიდწლიანი სკოლები, სადაც სამასამდე მოსწავლე და ოცამდე მასწავლებელია. დამახასიათებელია, რომ მასწავლებლები ამ სოფლის მკვიდრნი არიან, რომლებიც უმაღლესი განათლებით მშობლიურ სხვიტორს დაუბრუნდნენ. ასეთები არიან პ. მაჭარაშვილი, ნათელა და სერგო ზაბახიძეები, ნინო ლომიძე, ლ. კიკნაველიძე და სხვები, რომლებიც თავდადებით იღვწიან ბავშვთა სწავლა-აღზრდისათვის. ბევრი სხვიტორელი ახალგაზრდა საჩხერეში — აკაკის სახელობის საშუალო სკოლაში სწავლობს. სხვიტორში იშვიათია ოჯახი, სადაც საშუალო განათლებით არ იყვნენ, ხოლო ძალიან ბევრი უმაღლესი განათლებით არის.

სხვიტორელი გივი გოშაძე ინჟინერია, ხოლო მისი და ვენერა — აგრონომი. გაიოზ ზაბახიძემ ლენინგრადში დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და ექვე ქირურგად მუშაობს. გაიოზის ძმა პროვიზორია და ლენინგორში აფთიაქის გამგედ მუშაობს. კარგი ინჟინრები არიან ავთანდილ ზაბახიძე, პეტრე და ვასო კაციტაძეები და სხვ.

სხვიტორს აქვს საკუთარი კლუბი და კარგი ბიბლიოთეკა ხუთი ათასამდე წიგნით. ბიბლიოთეკას ამ საქმის მცოდნე და მოყვარული ეკ. ალავიძე განაგებს. აქ ხშირად ეწყობა მკითხველთა კონფერენციები, ახალი წიგნების კითხვა-გარჩევა. მოწყობილია აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა, გაიმართა მგოსნის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები არიან ნანი გოშაძე, გ. აბრამიშვილი, ანტონინა და აკაკი კირვალიძეები. ისინი გულმოდგინედ კითხულობენ წიგნებს და თავიანთ შთაბეჭდილებებს ურთიერთს უზიარებენ.

სხვიტორელთა სიამაყეა აკაკის სახლ-მუზეუმი, სადაც განუწყვეტლად მოდიან სტუმრები. სხვიტორი ემზადება თავისი უკვდავი შვილის იუბილესათვის. მთავრდება აკაკის კარმიდამოს აღდგენა-კეთილმოწყობა, აღდგენილია აკაკისეული ბაღი, ბევრი ახალი ექსპონატი შეემატა მუზეუმს, გაკეთდა და ხელვნით დაშვენდა გზა საგურიდან სხვიტორამდე. საგურის მოედანზე იდგმება აკაკის შესანიშნავი ძეგლი...

მაგრამ სხვიტორმა არანაკლებ გაითქვა სახელი შრომით, მისი ბარაქით, მშრომელი ადამიანებით. სხვიტორელების სიმდიდრის წყარო ვენახია. დავით მაჭარაშვილისა და სიმონ ლურსმანაშვილის ბრიგადები ყოველ ჰექტარზე 80 ცენტნერ ყურძენს იღებენ. სამოცდაათი წლის მოხუცს მ. ლურსმანაშვილს, რომელსაც კარგად ახსოვს აკაკის რჩევა-დარიგება, მოსავლელად მიმაგრებული ჰქონდა 2.500 კვ. მეტრი ვენახი, საიდანაც ჰექტარზე გადაყვანით 85 ცენტნერი ყურძენი მიიღო. საუცხოოდ მოუარეს ვენახს ძმებმა მიხეილ და გალაქტიონ ზაბახიძეებმა. სიმონ ზაბახიძემ. მოსავლელად მიჩენილ ნაკვეთზე მთ ჰექტარზე 130 ცენტნერი ციცქა მიიღეს.

მესამინდეებსაც არ შეურცხვენიათ თავი. ყოველ ჰექტარზე მარცვლად 40 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. აქ თავი გამოიჩინეს აკაკის თანამეზროვეებმა მ. ბაჭარაშვილმა, ს. ყიფიანმა და დ. თოდაძემ, რომლებმაც მიმაგრებული ნაკვეთებიდან ჰექტარზე გადაყვანით მარცვლად 55 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. ასეთივე მადალი მოსავალი მიიღეს ან. ყიფიანის ბრიგადამ. ი. კირვალიძემ და სხვებმა. სხვიტორში თავდადებულად შრომობს გმირი დედა თამარ არჩვაძე, რომელმაც ოერთმეტი შვილი გაზარდა. მისი შვილები გივი და ნიკოლოზი ახლახან დაბრუნდნენ საბჭოთა არმიიდან, მათ შესაცლელად არმიაში წავიდა მესამე ძმა პეტრე. გივი უკვე დაქორწინდა. ამ ოჯახიდან სამი ბავშვი სწავლობს, ხოლო სხვები პატარები არიან.

სხვიტორელები წინ მიდიან მეცხოველეობაშიც. აქ წელს თვითეულ ძროხაზე უკვე 1.760 კილოგრამი რძე მიიღეს. მიხეილ ზაბახიძე და კარპეზ მაჭარაშვილი ათ-ათ ძროხას უვლიან და თვითეულზე უკვე 1.900 კილოგრამი რძე მიიღეს. ასევე შრომობენ მწველავები შუშანიკა ზაბახიძე, ს. პეტრიაშვილი.

• • •

ბარაქიანი შემოდგომა და შრომითი აღმავლობაა სოფელ სავანეში, სადაც იზრდებოდა აკაკი. ამ სოფელზე და იქ გატარებულ წლებზე ხომ თვით აკაკი წერდა:

„საწერეთლოში, ზემო იმერეთში, ბევრი კარგი სოფელია და მათ რიცხვში ურევია სავანეც, ის სოფელი, სადაც ჩემი ძიძა ცხოვრობდა და მე ვიზრდებოდი. როგორც სათვალდათვალოდ, ისე ჰაერის სიკეთითაც ის საუცხოო რამ არის და ამიტომაც დაურქმევიათ „სავანე“, ე. ი. მოსასვენებელი ადგილი“...

დიდმა მგოსანმა გლეხის ოჯახში, აიდგა ფეხი და ენა, იქ შთაენერგა მას ხალხისადმი სიყვარული. აკი მგოსანი ამბობს: **„არ შეიძლება არ გამოვტყდე, რომ თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო ამის წყალობით, რომ სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდი“.**

ამ დღეებში რესტავრირებულია აკაკის ძიძის მარო სადენიშვილის სახლი, სადაც იზრდებოდა „ცა-ფირუზ-ხელეთ ზურმუხტ“ სამშობლო მხარის უბარი მომღერალი... გამოიცვალა სავანეც...

აკაკის რომ ენახა განახლებული სხვიტორი, სავანე, სამშობლო, როგორი აღტაცებით გაიმეორებდა:

„ამ დღეს ველოდი,
მოვეხწარ,
ვიცინი, აღარ
ვსტირი მე“...

პ. ჰიოკაძე.

აკაკის სახლი სხვიტორში.
რ. გაბრიაძისა და ო. ჩხარტიშვილის ჩანახატი.



ჰიათურა! აკაკის დაბადების 120 წლისთავს ზეიმობს „შავი ოქროს“ ქალაქი. იგი განსაკუთრებულ ვალშია დიდი მგოსნის წინაშე, რომლის სახელთან არის დაკავშირებული მარგანეცის წარმოება ჩვენში.

აი როგორ მოგვითხრობს აკაკი შავი ქვის აღმოჩენას:

„ამ თხუთმეტი წლის წინათ, — წერს პოეტი 1889 წელს გაზეთ „იერიაში“ დაბეჭდილ მოგონებაში, — სხვაგან მომავალს თან მიმყვებოდა ერთი მღვიმეელი ახალგაზრდა“. მოწყენილი იყოო, შენიშნავს აკაკი და როცა მოწყენილობის მიზეზი გაუმხელია, ისიც უთქვამს, რომ შეყვარებულია, მაგრამ ქალს არ ატანენ იმ სამბიძი, რომ „საქაჯეთოდ არ გამოგვიზრდია ჩვენი ქალი! შავი ქვის პატრონს ვერ მივათხოვებთო“.

„უკან დაბრუნებისას, — განაგრძობს აკაკი, — სულ იმას ვფიქრობდი, რომ მენახა როგორმე ის დაწყევლილი შავი ქვა, და მალეც ამისრულდა სურვილი. ...შავი ქვის ხიმრავლემ გამაკვირვა. ნახვისთანავე ვიფიქრე, რომ ის შავი ქვა უბრალო არ იყო და სწორედ მარგანეცი უნდა ყოფილიყო“.

დიდი ბრძოლა გადაიტანა მგოსანმა, ბევრი წინააღმდეგობა დაძლია, ვიდრე ჰიათურაში მარგანეცის ამოღების საქმეს საფუძველი ჩაეყრებოდა. როგორც იყო, დაიწყო ამ ძვირფასი მინერალის დამუშავება.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღორძინდა მარგანეცის ქალაქი. მისი კეთილმოწყობა მკვიდრ ნიადაგზე დადგა. გაიხსნა ახალი მაღაროები.

კეთილმოწყობილი ქალაქი გახდა თანამედროვე ჰიათურა. მთების წიაღში მოქცეული ქალაქი ვერ დაეტია თავის ძველ სამყოფელში და მთებზე გადაიტანა თავისი ახალშენები. აშენდა მუშათა ახალი უბანი ნაგუთი. ამუშავდა მექანიზებული მაღარო „ახალი ითხვისი“.

აკაკი წერეთლის სახელს ატარებს აქაური სახელმწიფო დრამის თეატრი. წერეთლის სახელი ჰქვია ერთ-ერთ მთავარ ქუჩას.

იზრდება, მშვენიერდება ჰიათურა, რომლის შვილები ახლა დიდი ზეიმით იხდიან ქართული მარგანეცის პირველი აღმომჩენის, ქართველი ერის დიდების — აკაკი წერეთლის დაბადების სახელოვან იუბილეს.

• • •

სურათზე: ჰიათურა. მემაღაროელთა დაბა ნაგუთი.

ფოტო ს. ონანოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

„საქართველოს კუთხე“

დენინგრადის მუზეუმში

„ძართული ხალხური ხელოვნება დიდი მრავალფეროვნებით განირჩევა. მისი ფესვები შორეულ წარსულშია, მისი შესანიშნავი ტრადიციები ახალ განვითარებას იღებენ გამოყენებითი ხელოვნების საბჭოთა ოსტატების ნამუშევრებში...“ ამას მოგვითხრობენ ლენინგრადის სსრ კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ექსკურსიამძღოლები, რომლებიც დამთვალიერებლებს აცნობენ ექსპოზიციის ამას წინათ გახსნილ ახალ განყოფილებას, მიძღვნილს საქართველოს სსრ ხალხური ხელოვნებისადმი.

სტენდებზე ვხედავთ ვერცხლით მოჭედილი ყანწებისა და აზარფეშების შესანიშნავ კოლექციას. ვერცხლის ბანაობი ფილიგრანული ნაკეთობანი: ტუალეტის საგნები, საჭიქები, კოლოფები და სხვ.

აღტაცებას იწვევს სადაფითა და ძვლით ინკრუსტირებული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტები, თავისებური კერამიკული ჭურჭელი, რომელსაც ფრინველების და ცხოველების სახე აქვს, ლამაზი სურა თელავიდან და სხვ. თვალს ვერ მოაშორებთ სპილოს ძვლის გასაცარ მინიატიურას, რომელზეც შოთა რუსთველია გამოსახული. ეს თბილისელი ოსტატის კ. გაბაშვილის ნამუშევარია. გამოფენილია ქართული ხალხური ორნამენტით მორთული ხალიჩები. ხურჯინები, თოქალთოები, ბატკლის წინდები და ფეხსაცმელი.

„საქართველოს კუთხე“, გემოვნებით შერჩეული ექსპონატების მეოხებით, წარმოდგენას იძლევა რესპუბლიკის მრავალფეროვან, თვითმყოფ გამოყენებითს ხელოვნებაზე.

ი. კარიშევი.

ქ. ლენინგრადი.

ზამთარი დადგა

ამინდი

მიმდინარე წლის შემოდგომის ბოლო თვემ — ნოემბერმა საქართველოში პირნათლად მოიხადა თავისი ვალი, „ეტაფეტის კვერთხი“ ზამთრის პირველ თვეს — დეკემბერს გადაუღოცა და თან თითქოს გაფრთხილების კილოთი დააყოლა: „ზამთრის პირამდე ხალხი თბილად მოიცილებია, და აბა ახლა შენ იცი“.

რით განსხვავდება წლევანდელი ნოემბერი საშუალო „ნორმალური“ ნოემბრისაგან? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გადავსინჯეთ უკანასკნელი 25 წლის ნოემბრის თვეების მონაცემები თბილისის ობსერვატორიის დაკვირვებათა მასალის მიხედვით და გამოირკვა:

ჰაერის თვიური საშუალო ტემპერატურის მხრივ წლევანდელი ნოემბერი მხოლოდ 0,3 გრადუსით უთმობს 1940 წლის ნოემბერს, დანარჩენი 24 წლიდან ზუსტად წლევანდელი მონაცემების ტოლი — 9,4 გრადუსი აღნიშნული იყო 1936 წელს. სამაგიეროდ ორჯერ უფრო დაბალი იყო ნოემბრის თვიური საშუალო ტემპერატურა 1953 წლის ნოემბერში, როცა მან 4,2 გრადუსს ძლივს მიაღწია, მრავალწლიური საშუალო ტემპერატურის სიდიდე, ე. ი. ნორმა კი თბილისისათვის უდრის 7,4 გრადუსს.

ყველაზე მაღალი ტემპერატურა, ე. ი. აბსოლუტური მაქსიმუმი — 27 გრადუსი აღნიშნული ყოფილა 1938 წლის 2 ნოემბერს, შემდეგ 26 გრადუსი 1952 წლის 2 ნოემბერს, ამ მხრივ წლევანდელი ნოემბერი მესამე ადგილზეა, როცა ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა 24 გრადუსი იყო.

მინიმალური ტემპერატურის მხრივაც გასული ნოემბერი ბევრად უფრო თბილი აღმოჩნდა. მაშინ როცა 1956 და 1959 წლებში ნოემბერში ყინვას თბილისში 7 გრადუსს მიუღწევია, 1960 წლის ნოემბერში იგი მხოლოდ 1 გრადუსით დავიდა ნულს ქვევით.

ატმოსფერული ნალექების თვალსაზრისითაც დიდად გამორჩეული ყოფილა ნოემბერი. ასე, მაგალითად, თუ საშუალოდ ამ თვეში 9 დღეა ხოლმე ნალექიანი, წლეულ მხოლოდ 5 დღე იყო. მაშინ ჭარბი ღრუბლიანობის გამო მზის ნათების ხანგრძლივობამ 39 საათს ძლივს მიაღწია, წლეულს კი 101 საათს გადააჭარბა.

* * *

რა აეროსინოპტიკურმა პროცესებმა განაპირობეს წლევანდელი თბილი ნოემბერი?

თუ 1959 წლის ნოემბერში ადგილი ჰქონდა არქტიკული ჰაერის მასების შემოჭრას საქართველოში ჩრდილოეთიდან, ჯერ კარის და შემდეგ ნორვეგიის ზღვიდან, რასაც, ბუნებრივია, აცივება მოჰყვა, წელს ნოემბერში არქტიკული ჰაერის მასამ ჩრდილოეთიდან კავკასიონის ქედამდე მოაღწია და შემდეგ აღმოსავლეთით გადაინაცვლა. საქართველოში უფრო ხშირად ადგილი ჰქონდა თბილი ჰაერის შემოსვლას სამხრეთიდან ან სამხრეთ-დასავლეთიდან.

მაგრამ შემოდგომა დამთავრდა არა მარტო კალენდარულად, არამედ ფაქტურადაც, ასეთი დამთხვევა კი ბუნებაში იშვიათად ხდება. კერძოდ, 30 ნოემბრის საღამოდანვე დასავლეთ საქართველოში ნამდვილი ზამთარი დადგა.

30 ნოემბრის დილით ღრმა ციკლონის ცენტრი უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა, ამავე დროს მძლავრი ანტიციკლონის ცენტრი სამხრეთ საფრანგეთში იყო. ორივე ამ ბარიულმა სისტემამ დიდი სისწრაფით იმოძრავა, აღმოსავლეთის მიმართულებით. ციკლონმა, გაიარა რა ამიერკავკასიის ტერიტორია, გამოიწვია ატმოსფერული წნევის დაცემა, განსაკუთრებით ქასპის ზღვის რაიონებში. ანტიციკლონმა ერთი ღიღამის განმავლობაში უკვე მოაღწია შავი ზღვის დასავლეთ რაიონებს, რამაც, პირველი, გამოიწვია ატმოსფერული წნევის ზრდა შავი ზღვის რაიონში, ხოლო ამან განაპირობა ციცი და ნოტიო ჰაერის უეცარი შემოჭრა შავი ზღვიდან დასავლეთ საქართველოში.

ციცმა და ნოტიო ჰაერმა მანამდე იქ არსებულ თბილ ჰაერთან ურთიერთმოქმედებით გამოიწვია მძლავრი ღრუბლის საფარის წარმოქმნა, ინტენსიური ნალექები და ამ პერიოდისათვის ნაკლებად დამახასიათებელი ძლიერი ჭექა-ქუხილი, დასავლეთის შტორმული ქარები. მარტო ერთი ღამის განმავლობაში მოსულა ნალექის რაოდენობა ზოგ რაიონში 50 მილიმეტრს აღწევდა — წამოვიდა თოვლი, ერთი დღეღამის განმავლობაში ტემპერატურა 10 გრადუსით და მეტით დაეცა. ნალექები შემდგომ გავრცელდა აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებშიც, ხოლო ზამთრის დაწყება აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში გვიანცნო დასავლეთის შტორმულმა ციკლონმა.

2 დეკემბრის დილისათვის თოვლის საბურველის სიმაღლე ბაკურიანში აღწევდა 25 სანტიმეტრს, ბორჯომში — 16, აბასთუმანში და ხაშურში — 10 სანტიმეტრს, ხოლო დღისით თოვდა საქართველოს ბევრ სხვა რაიონშიც, მაგალითად, ქუთაისში, სამტრედიაში, ხაშურში, გორში და სხვ.

ამჟამად ციკლონის მოქმედება დამთავრებულია, მოახლოებული ანტიციკლონის გავლენით ხდება ატმოსფერული წნევის ზრდა ამიერკავკასიაში, რაც განაპირობებს ნალექების შეწყვეტას და ამინდის პირობების საერთო გაუმჯობესებას. უეცარი აცივებით და ცის შემდგომი მოწმენდით გამოწვეული დამის ტემპერატურების შესამჩნევი დაწევა მთელ საქართველოში შეიცვლება თანდათანობით დათბობით.

გ. ლოლაძე,
თბილისის ობსერვატორიის მეტეოროლოგიის განყოფილების უფროსი

ვ. კოკლატაძე,
თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი.

ᲥᲝᲛᲝᲜᲘᲡᲢᲘ

რიგა. 2 დეკემბერი. (სპეც. კორ.). სსრ კავშირის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ახლა ყოველ — პარტიის შედეგს, ყოველ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირველობისათვის მებრძოლთათვის, ლიდერებისათვის.

დღეს ჩემპიონატის მეთერთმეტე ტურში ყურადღების ცენტრში იდგა პირველობის გათანაბრების ორი ლიდერის ტ. ზატულოვსკაისა და ნ. გაფრინდაშვილის პარტია. ბრძოლა თავიდანვე შეუპოვარი იყო. ნ. გაფრინდაშვილს პოზიცია თანდათან სულ უკეთესი ხდებოდა, მაგრამ მოულოდნელად მან ცალტნოტში უხვში შეცდომა დაუშვა, დაკარგა ფიგურა და პირველი დამარცხება განიცადა.

ამავე ტურში ო. რუბცოვამ დამარცხა ა. ჩაიკოვსკაია. კ. ზვორიკინა-ა. კუშნირის, ვ. კაუშილა-იტე-ფ. დმიტრიევას და ე. კაკაბაძე-ლ. ვოლპერტის პარტიები ყაიმით დამთავრდა. 4 პარტია გადაიდო. მ. ტოგონიძეს 2 პაიკი აქვლია ტ. კრიუკოვასთან პარტიაში.

11 ტურის შემდეგ პირველობის გათამაშების ლიდერია ტ. ზატულოვსკაია, რომელსაც 8 ქულა აქვს; ო. რუბცოვას 7,5 ქულა აქვს, ვ. ბორისენკოსა და ნ. გაფრინდაშვილს — შვიდ-შვიდი ქულა.

3 დეკემბერს შედგება ჩემპიონატის მრრიგი, მე-12 ტური.

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲠᲘᲒᲐᲨᲘ

ᲬᲝᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲘᲜᲘ᭮ᲔᲑᲐ

სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის პრეზიდიუმმა ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა და მწვრთნელთა ერთ ჯგუფს ნაყოფიერი მუშაობისა და მაღალი სპორტული შედეგებისათვის მიანიჭა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატისა და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება. მათ შორის არიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც. საქართველოდან სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მოიპოვეს: ფენხბურთში — ნ. ჩხატარაშვილმა (თბილისი, „დინამო“), ფარიკაობაში — ს. საყვარელიძემ (ზესტაფონი, „განთიადი“).

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲖᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ

როგორც ცნობილია, ბუდაპეშტში გაიმართა ზონალური საჭადრაკო ტურნირი მსოფლიო პირველობაზე. ამ ზონიდან ფიდეს საზონთაშორისო ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ პირველ სამ ადგილზე გამოსულ მოჭადრაკეებს. მაგრამ მათ შორის მხოლოდ პირველ ადგილზე გამოსულმა საერთაშორისო გროსმაისტერმა გ. ბარცამ შეძლო საზონთაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლების მოპოვება, მომდევნო ოთხი ადგილი კი თანაბარი ქულებით გაიზიარეს საერთაშორისო გროსმაისტერმა ა. მატანოვიჩმა, საერთაშორისო ოსტატებმა მ. ბერტოკმა (ორივე იუგოსლავია), ი. ბილეკმა (უნგრეთი) და ტ. ვან სპელტნგმა (ჰოლანდია).

ამ ოთხ მოჭადრაკეს შორის ორი უძლიერესის გამოსავლენად ჰოლანდიის ქალაქ ბერგ-ან-დალში მოეწყო დამატებითი ტურნირი. აქ გამარჯვება და საზონთაშორისო ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს იშტვან ბილეკმა და მარიო ბერტოკმა.

• • •

ასეთივე ზონალური ტურნირი მიმდინარეობდა მადრიდში, მაგრამ მან უძლიერესთა სამეული ვერ გამოავლინა. საერთაშორისო გროსმაისტერებმა ს. გლიგორიჩმა (იუგოსლავია) და ი. დონერმა (ჰოლანდია), აგრეთვე საერთაშორისო ოსტატებმა ლ. პორტიშმა (უნგრეთი) და ა. პომარმა (ესპანეთი) 15 შესაძლებლიდან ათნახევარ-ათნახევარი ქულა შეაგროვეს და პირველი ოთხი ადგილი გაიყვეს. დებულებით კი საზონთაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება ჰქონდა სამ მოჭადრაკეს. ამიტომ მადრიდში მოეწყო დამატებითი ტურნირი ამ მოჭადრაკეთა შორის. აქ გამარჯვება და საზონთაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს სვეტოზარ გლიგორიჩმა (3,5 ქულა), ლაიოშ პორტიშმა (3 ქულა) და არტურო პომარმა (3 ქულა).

ᲔᲡᲢᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

△ **გრძელდება** მსოფლიო პირველობის გათამაშების შერჩევითი შეხვედრები ფეხბურთში. ამ დღეებში ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის სამდივნომ ჩემპიონატის მსვლელობასთან ერთად გამოაცხადა, რომ რუმინეთმა უარი თქვა ევროპის მეშვიდე ზონის ტურნირში მონაწილეობაზე. ამ ზონიდან ფინალისტი გამოვლინდება იტალიასა და ისრაელ-ეთიოპიის მატჩში გამარჯვებულის დასკვნითი შეხვედრით. მექსიკის გუნდმა ამერიკელებთან ორ შეხვედრაში გაიმარჯვა (3:3, 3:0) და მე-14 ზონის ნახევარფინალში გავიდა.

△ **დაიწყო** შერჩევითი ასპარეზობა ხელბურთში მსოფლიოს პირველობაზე. სულ ჩემპიონატში გამოლის 17 ქვეყნის ეროვნული ნაკრები. სსრ კავშირის გუნდი ასეთ შეჯიბრებაში პირველად მონაწილეობს. სტარტზე მას პირველი ორი შეხვედრის გამართვა მოუხდება რუმინეთის ხელბურთელებთან — 5 იანვარს მოსკოვში და 15 იანვარს — ბუქარესტში. ჩემპიონატის პირველი შეხვედრა გაიმართა ოსლოში დანიისა და ნორვეგიის გუნდს შორის. გაიმარჯვეს დანიელმა ხელბურთელებმა ანგარიშით 22:13.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი

3-ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ 78-Ე ᲢᲘᲠᲐᲟᲘ

მოსკოვი. 30 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის კულტურის სასახლეში გაიმართა სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის 78-ე ტირაჟი. სულ გათამაშებულ იქნა 65.102.800 მანეთის 119.000 მოგება.

ამ სესხის შემდგომი მორიგი 79-ე ტირაჟი გაიმართება 1961 წლის 30 იანვარს ქალაქ მოსკოვში.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:

თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე ების — 8-63-03, 8-82-05. პასუხისმგებელი მდივნის — 8-72-80. სამდივნოსი — 8-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 8-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 8-57-61, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-80-84, წერილების — 8-73-24, ინფორმაციის — 8-16-90, საილუსტრაციო — 8-20-48, მუშა ოფლკორთა კაბინეტის — 8-08-67, განცხადებების მიღების — 8-64-42.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

3 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — დარეჯან ცბერი (მე-10 აბონ. მე-2 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — ჰამლეტი, **მარჯანიშვილის სახელობის** — მე, ბებია, ილაკო და ილარიონი, **გრიბოედოვის სახელობის** — მეფილე ქალი, **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — საყვარელი დისშვილი (რკინიგზელთა სახლში), **სანკულტურის** — პროფესორ დოუელის თავი (აბონ. გარეშე), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კაცი, რომელიც იცინის (აბონ. № 51, 7 ს.), **თოჯინების ქართული** — სიცოცხლის ყვავილი (11 ს.), ზარმაცი კიკო (2 ს.), **რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზი** — ლ. გეოხლანიანის კონცერტი (ტენორი), **ცირკი** — „გოლიათი სპილოები“ — კორნილოვის ხელმძღვანელობით და ბერმანის გასტროლები ტაკიმასხარების ჯგუფით.

ტელევიზია. 18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის — სატელევიზიო ალმანახი “ღირსშესანიშნავი თარიღები“, 19.10 — კინოფურნალი, 19.20 — „დეკემბრის პლენუმის შესახვედრად“ — საუბარი სასოფლო-სამეურნეო მენქანების შესახებ, 19.35 — აკაკი წერეთლის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა, 20.55 — ახალი ამბები, 21.00 — ახალი მხატვრული ფილმი „პური და ვარდები“.